www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 12 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3134 (227) | ფასი 50 თეთრი

## მოსკოვი-დამასკოს რეისი თურქეთმა ძალით დასვა ანკარაში

ხათუნა გაბიევი



თურქეთ-სირიის გართულებულ ურთიერთობებს კიდევ ერთი ინციდენტი დაემატა. ანკარამ კონფისკაცია გაუკეთა სირიისთვის განკუთვნილ ტვირთს თვითმფრინავზე, რომელიც მოსკოვი-დამასკოს რეისს ასრულებდა. სამგზავრო თვითმფრინავს დაზვერვის შეტყობინების საფუძველზე იძულებითი დაშვება ანკარის საერთაშორისო აეროპორტში მოუხდა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

## ჟენევის ექო თბილისში

დათო გამისონია

ჟენევის მოლაპარაკებების 21-ე რაუნდზე საქართველოს დელეგაცია პოლიტიკური ოპონენტებით იყო დაკომპლექტებული. დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე ხელმძღვანელობდა, მასთან ერთად, დამკვირვებლის სტატუსით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი პაატა ზაქარეიშვილი და მომავალი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი იმყოფებოდნენ. ისინი ყველა დონის შეხვედრას დაესწრნენ. **"კარგია, რომ მანამდე ვეცნობით პროცესს, ვიდრე მასში ჩავერთვებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორმატია, რადგან კარგად ჩანს მხარეების პოზიციები - სადამდეა მისული კონფლიქტის მოგვარების პროცესი,"** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

რუსეთის წარმომადგენლებთან განხილვის მთავარ თემად ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების გაფორმება რჩება. **"აუცილებელია, დაიწყოს მუშაობა ძალის არგამოყენების დოკუმენტზე, რომელმაც რუსეთს ეს ვალდებულება უნდა აალებინოს,"** - მიიჩნევს სერგი კაპანაძე. უთანხმოების საგანი, მუდმივად, იმ სუბიექტების დადგენაა, რომლებმაც დოკუმენტს ხელი უნდა მოაწერონ. მოსკოვი, ტრადიციულად, თბილისისგან სოხუმთან და ცხინვალთან შეთანხმების გააფორმებას მოითხოვს. ამ პოზიციით წაქეზებული ოკუპირებული ტერიტორიების მარიონეტული მთავრობები კი საქართველოს მთავრობასთან თანასწორუფლებიან რანგში მოლაპარაკებების გამართვის საკითხს აყენებენ. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ძალის არგამოყენების შეთანხმებაზე საუბრისას სოხუმსა და ცხინვალში, უსაფრთხოებაზე მეტად, სტატუსის თემა აწუხებთ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## "ოპოზიციის ფუნქციაა, აკონტროლოს მთავრობა და არ ებრძოლოს საკუთარ ქვეყანას"



*არჩევნებში დამარცხების შემდეგ ყველა პოლიტიკური პარტია აანალიზებს, რამ გამოიწვია წარუმატებლობა. ამ საკითხზე 24 საათი ესაუბრა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს გოკა გაბაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის ერთ-ერთი მთავარი წამალია, გადახედოს თავის გზას, გააანალიზოს და გამოიტანოს დასკვნები, თუ სურს, რომ შეინარჩუნოს ძლიერი პოლიტიკური ძალის იმიჯი.*

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## დასახელდა ომბუდსმენობის კანდიდატები

*ახალი მოწვევის პარლამენტს, გარდა მთავრობის შემადგენლობისა, ახალი ომბუდსმენის კანდიდატურის დამტკიცებაც მოუწევს. სავარაუდოდ, პარლამენტს ორ კანდიდატურას შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.*

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების დიდმა ნაწილმა სახალხო დამცველის პოსტზე საია-ს წევრი თამარ გურჩიანი დაასახელა.

**"არასამთავრობოები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ვმუშაობთ, რამდენიმედღიანი კონსულტაციების შემდეგ შევჯერდით სახალხო დამცველის კანდიდატზე. გვინდა, ახალი მოწვევის პარლამენტს ამ პოსტზე თამარ გურჩიანის კანდიდატურა წარვუდგინოთ,"** - განაცხადა «ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის» თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა.

არასამთავრობოების განმარტებით, თამარ გურჩიანი ომბუდსმენის თანამდებობაზე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მისი დიდი გამოცდილებისა და სამართალმცოდნეობის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის გამო შეირჩა.

თამარ გურჩიანის კანდიდატურის წარდგინებაზე მიმართვას, რომელიც ახალ პარლამენტს გაეგზავნება, 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია და საზოგადოებრივი გაერთიანება აწერს ხელს.

"დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი" და საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი სახალხო დამცველის ვაკანტურ თანამდებობაზე რეკომენდაციას ლია მუხაშავრიას უწევს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6606⇩ |
| 1 ევრო | 2.0826⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.6294⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.9089⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.1422⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 28°C - 19°C |
| ქუთაისი | 27°C - 18°C |
| თელავი | 28°C - 14°C |
| ზუგდიდი | 27°C - 18°C |
| ბათუმი | 24°C - 19°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.17 | +0.04 | +1.25% |
| გაზი | 2.79 | +0.04 | +1.40% |
| ოქრო | 1,689.30 | +32.20 | +1.91% |
| ხორბალი | 890.50 | -12.50 | -1.40% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9771987912100

## იოაკიმ შელბომის არმია, სტელან სკარსგაარდი და MOTORHEAD

ზურაბ თალაკვაძე

შვედეთი ცივი სამოთხეა. “არმია” სუპერლიგის საუკეთესო ბანდაა. შვედეთიდან “არმიაში” იოაკიმ შელბომი დაბრუნდა. მაღალი პერსონა მაღალი ინტელექტით. შელბომის 213 სანტიმეტრში “არმია” ბონუსს იღებს. მოთამაშე, რომელიც კალათბურთით არ იღლება. მოთამაშე, რომელიც ფიქრობს და ფიქრით არ იღლება. მოთამაშე, რომელიც მწვრთნელის ნათქვამს იმახსოვრებს. მოთამაშე, რომელიც ბევრს ასწრებს და “არმიაში” ძალიან საჭიროა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"არმიის" შვედი ცენტრი იოაკიმ შელბომი*

## "მილიონარე" - მძარცველი მესის სამსახურში



*დანიელ როხო და ლეო მესი დღემდე მეგობრობენ*

ბიბა ბურასაშვილი

ბარსელონა. 1989 წელი. ერთ ჩვეულებრივ ორშაბათ დღეს "ლა მოდელოს" ციხის კარიბჭე გაიღო მხოლოდ ერთი პატიმრისთვის, რომელმაც, დანარჩენებისგან განსხვავებით, გადაწყვიტა, კვირის ნაცვლად, ორშაბათს დაეტოვებინა სატუსაღო. პატიმარი რაღაცით "მოტორჰედის" კოლორიტულ როკმენს იან კილმისტერს - ლემის წააგავს. სიმაღლეში 1,95 სანტიმეტრია. სახელად დანიელ როხო.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

### განმეორებითი კენჭისყრა 14 ოქტომბერს გაიმართება

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის მაჟორიტარული სისტემით არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა 2012 წლის 14 ოქტომბერს გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ცესკო-ს 10 ოქტომბრის სხდომაზე მიიღეს.

14 ოქტომბერს განმეორებითი კენჭისყრა გაიმართება: №13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის №5 უბანში; №32 გორის საარჩევნო ოლქის №4 უბანში; №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის № 3, №8, №10, №45, №46 უბნებში.

განმეორებითი კენჭისყრის გამართვა დაევალა შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიების იმავე შემადგენლობებს, გარდა ორი უბნისა - №13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის №5 უბანში კენჭისყრას გამართავს იმავე ოლქის №31 საუბნო საარჩევნო კომისია, ხოლო №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის №45 უბანში - №7 საუბნო საარჩევნო კომისია.

ცნობისათვის - ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, ორ ოლქში "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი მცირე უპირატესობით ლიდერობდა.

გორის საარჩევნო ოლქში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» მაჟორიტარობის კანდიდატმა გიორგი ტატიშვილმა ხმათა 46.43 პროცენტი მიიღო, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატმა მალხაზ ვახტანგაშვილმა - 47.15 პროცენტი.

ხაშურის საარჩევნო ოლქში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატმა სერგო ქიტიაშვილმა 45.2 პროცენტი დააგროვა, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ვალერი გელაშვილმა - 45.81 პროცენტი.

სიღნაღის ოლქში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ ლევან ბეჟაშვილს ამომრჩეველთა 48.01 პროცენტმა მისცა ხმა, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელ გელა გელაშვილს - 47.89 პროცენტმა.

### ფილიპ დიმიტროვი მინისტრობის კანდიდატებს შეხვდა

ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი გუშინ "ქართული ოცნების" ოფისში მინისტრობის კანდიდატებს შეხვდა. როგორც დიმიტროვმა ჟურნალისტებთან განაცხადა, მინისტრობის კანდიდატებთან ის საკითხები განიხილა, რომლებიც ახალმა ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს.

"საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მისწრაფების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი აზრით, არის საკითხები, რომლებიც სწრაფად გადასაწყვეტია, ამიტომ ჩვენ შინაგან საქმეთა, საგარეო და ევროინტეგრაციის მომავალ მინისტრებთან შეხვედრების ორგანიზება მოვახდინეთ და ის საკითხები განვიხილეთ, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადაწყდეს," - განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

### საზოგადოების წარმომადგენლების ინიციატივა

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ვეტერანთა ფედერაცია - ორგანიზაციების გაერთიანებული საბჭო", ასევე მასში შემავალი 34 წევრი ვეტერანული ორგანიზაცია,

ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფი,

არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (უდსო)";

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებთა დაცვისა და პატიმრობაში მყოფი პირთა მიმართ კონვენციებით გათვალისწინებული უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია";

არასამთავრობო ორგანიზაცია ბიზნესის მართვის ცენტრი",

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარების საქველმოქმედო არასამთავრობო ფონდი მეოხი 2004".

და საზოგადოების წარმომადგენლების საინიციატივო ჯგუფი გამოდის ინიციატივით და რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატად წარდგენილი იქნას ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე და უფლებადამცველი გიორგი თევზაძე, რომელიც ამავდროულად ათეულობით ვეტერანული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით არჩეულია საქართველოს ვეტერანთა საზოგადოებრივ ომბუდსმენად.

ამ კანდიდატურაზე გიორგი თევზაძის თანხმობის შემთხვევაში ზემომითითებული ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას დაუყოვნებლივ დავიწყოთ მთელი საქართველოს მაშტაბით ხელმოწერების შეგროვება გიორგი თევზაძის კანდიდატურის ოფიციალური წარდგინებისა და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების დაწყებისათვის.

# დასახელდა ომბუდსმენობის კანდიდატები

პირველი გვერდიდან

**ლია მუხაშავრიას მაღალი პროფესიული და მოქალაქეობრივი ღირსებები, მისი ხანგრძლივი, წარმატებული საქმიანობა - როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, პრინციპულობა და უკომპრომისობა უსამართლობის მიმართ, აგრეთვე, მისი, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის მმართველი საბჭოს წევრის კონსტრუქციული კოლეგიალობა წარმოადგენს საფუძველს ჩვენი გადაწყვეტილებისა, მხარი დავუჭიროთ ლია მუხაშავრიას წარდგენას საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობის დასაკავებლად,"** - ნათქვამია "ექსპერტთა კლუბის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო დამცველის კანდიდატურებად ასახელებენ პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძეს და ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს. კიდევ ერთმა კანდიდატმა თამარ ჩუგოშვილმა კი თავის კანდიდატურაზე თამარ გურჩიანის სასარგებლოდ თქვა უარი. როგორც ჩანს, პარლამენტს ორ კანდიდატს - თამარ გურჩიანისა და ლია მუხაშავრიას შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

**"დარწმუნებულები ვართ, რომ გურჩიანი, როგორც სახალხო დამცველი პროდუქტიული იქნება და სიხარულით ვუჭერ მას მხარს,"** - განაცხადა საიას თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა.

# მურმან დუმბაძე ვიცე-სპიკერად

ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში გუშინ გამართული კონსულტაციების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ აჭარისთვის განკუთვნილი კვოტით პარლამენტის ვიცე-სპიკერი ბათუმის გამარჯვებული მაჟორიტარი მურმან დუმბაძე იქნება. აჭარის უმაღლესი საბჭოს მომავალი წევრის გია მასალკინის თქმით, მურმან დუმბაძეს აჭარასა და თბილისს შორის კოორდინატორის ფუნქცია ექნება.

პარლამენტის რეგლამენტმა შესაძლოა, დუმბაძეს დაბრკოლება შეუქმნას. პროცედურულად, აჭარის კვოტით პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა აჭარის მაჟორიტართა უმრავლესობამ უნდა წარადგინოს. საქმე ის არის, რომ აჭარის 6 ოლქიდან 3-ში - ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში "ქართული ოცნების" მაჟორიტარმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს. ქედა, შუახევსა და ხულოში კი - "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარმა კანდიდატებმა. ამიტომ, არც ერთ სუბიექტს ვიცე-სპიკერის წარსადგენად უმრავლესობა არ გააჩნია. თუმცა, პარლამენტის მოქმედი ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ამბობს, რომ პარლამენტში ადგილების გადანაწილება უმრავლესობის პრეროგატივაა, რასაც თავის მხრივ კანონი და რეგლამენტი აწესრიგებს. სავარაუდოდ, "ნაციონალური მოძრაობა" დუმბაძის ვიცე-სპიკერობას არ შეაფერხებს. "სხვადასხვა საკითხები კონსულტაციების გზით გადაწყდება," - დასძენს წერეთელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომავალი დეპუტატები კი ამბობენ, რომ არჩევნების წინ აჭარის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარედ სწორედ მურმან დუმბაძეს მოიაზრებდნენ. ამიტომ, დღის წესრიგში აჭარის ავტონომიის პირველი პოლიტიკური პირის შერჩევის საკითხი დადგა.

ბიზნესცენტრიდან გამოსულმა მურმან დუმბაძემ თქვა, რომ მათ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალური მითითება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრობის კანდიდატურების შერჩევაში. **"მედიაში ბიზნესმენების ანზორ ქოქოლაძისა და ქიბარ ხალვაშის კანდიდატურები მუსირებს. თუმცა, ამ თანამდებობაზე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანდიდატურის განხილვა შეიძლება. დაახლოებით, ორ ათეულ დღეში ბიძინა ივანიშვილი კანდიდატურას თვითონ გამოაცხადებს,"** - აღნიშნავს მურმან დუმბაძე.

გია მასალკინის თქმით, ჯერჯერობით მთავრობის მომავალი მეთაურის პოსტზე კანდიდატურების გვარებიც კი არ დასახელებულა. **"შევთანხმდით, რომ კანდიდატურების შერჩევას გავაგრძელებთ. გააჩნია ბიძინა ივანიშვილს, როგორი ხედვა ექნება - ეს თანამდებობა ტექნოკრატიულად წარმოუდგენია თუ პოლიტიკურად. ჩემი აზრით, კარგია, თუ სიმბიოზი იქნება - კარგი მენეჯერი და კარგი პოლიტიკოსი,"** - ამბობს მასალკინი.

ბიზნესცენტრში სხვა თემებზეც მსჯელობდნენ. ივანიშვილთან კონსულტაციაზე დავით უსუფაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე და შალვა შავგულიძე იმყოფებოდნენ. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ჯერჯერობით მინისტრობის კანდიდატურები შერჩეული არ არის. მისივე თქმით, საუბარის ერთ-ერთი თემა პარლამენტის პირველი სხდომაც იყო. რადგან მთავრობა გადადგა, რაც პროცედურული თვალსაზრისით ახალ ნაბიჯებს მოითხოვს, შესაძლოა, ახალი მთავრობის დამტკიცების ვადები შეიცვალოს. **"პარლამენტის სხდომის მოწვევა პრეზიდენტის პრეროგატივაა. ამ თემაზე კონსულტაციები ნაციონალური მოძრაობის" სამუშაო ჯგუფთან გვექნება. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა პარლამენტის შენობის სამუშაო კონდიციამდე მისაყვანად. მდგომარეობა სახარბიელო არ არის, მაგრამ მოვახერხებთ, რომ სხდომის ჩასატარებლად ყველაფერი მზად იყოს. თუმცა, ნორმალური ფუნქციონირებისთვის ეს შენობა მზად არ არის,"** - აცხადებს უსუფაშვილი.

რაც შეეხება მინისტრთა-კაბინეტის შემადგენლობას, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრმა დავით საგანელიძემ დაადასტურა, რომ ფინანსთა მინისტრობის ერთ-ერთ კანდიდატად ირაკლი მანაგაძეც განიხილება. თუმცა, მისივე თქმით, ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის. "კონსულტაციები მინისტრების მოადგილეთა შესარჩევადაც გრძელდება," - დასძენს საგანელიძე.

დავით საგანელიძე სამინისტროების გაერთიანების საკითხსაც შეეხო. **"კოალიციის მიზანი და ამოცანაა სამინისტროების და საპარლამენტო კომიტეტების ოპტიმიზაცია. ბოლო წლებში ერთი ადამიანის ინტერესებზე მორგებული სამინისტროები, დეპარტამენტები, სხვადასხვა სამსახურები ბიუჯეტის არასწორად ხარჯვას იწვევდა,"** - ამბობს საგანელიძე.

*საკუთარი ინფორმაცია*

# უგულავა თბილისის მაჟორიტარებს კონსულტაციებზე იწვევს

თბილისის მერი გიგი უგულავა, საკრებულოს წევრებთან ერთად, არჩევნებში გამარჯვებულ ფრაქცია «ქართული ოცნების» თბილისის მაჟორიტარ დეპუტატებს 2013 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსახილველად და ასევე სხვადასხვა პროგრამებზე სასაუბროდ მერიაში იწვევს. **მინდა, თბილისის საკრებულოს წევრებთან ერთად, მოვიწვიო ახლად არჩეული თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ქართული ოცნებიდან . მოგეხსენებათ, ნოემბერში უკვე იწყება საბიუჯეტო განხილვები როგორც საკრებულოში, ისე პარლამენტში. მოდის ზამთარი, არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც აწუხებს თბილისელებს და თბილისს. ჩვენ განვიხილავთ კომუნალურ გადასახადებს და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს. ბუნებრივია, მათაც ექნებათ თავიანთი ხედვის შემოთავაზების შესაძლებლობა. ჩემი აზრით, კონსტრუქციული საუბარი, თუ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ თბილისი და როგორ უნდა შევუმსუბუქოთ თბილისელებს პრობლემები, მხოლოდ საქმეს და თბილისელებს წაადგებათ. არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც აწუხებს თბილისს და მზად ვარ, მათთან ერთად გავიარო, შევაჯერო, სხვადასხვა პროგრამები წარვუდგინო,** - განაცხადა უგულავამ.

ქალაქის მერი მზად არის, თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სურვილის შემთხვევაში, მათთან კომუნალურ გადასახადებსა თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც ისაუბროს.

"ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, ჩუღურეთის რაიონის გამარჯვებული მაჟორიტარი ვიქტორ დოლიძე გიგი უგულავას მოწოდებას პიარს უწოდებს.

როგორც დოლიძემ განმარტა, პარლამენტის მაჟორიტარებს ქალაქის ბიუჯეტის განხილვაზე არაფერი ესაქმებათ. **გიგი უგულავას ჩვენ მთელი ორი წლის განმავლობაში ვთხოვდით, რომ ბიუჯეტის ფორმირების მანკიერი მხარეები განეხილა. მათ ყურიც არ შეუბერტყიათ. ახლა ეს მხოლოდ პიარს ემსახურება. პარლამენტის მაჟორიტარებს იქ არაფერი ესაქმებათ. ჩვენ საკრებულოში გვყავს დეპუტატები და მზად ვართ, სწორედ საკრებულოდან გავგზავნოთ მერიაში წარმომადგენლები,** - აღნიშნა დოლიძემ.

კრწანისის რაიონის გამარჯვებული მაჟორიტარი შოთა ხაბარელი გაზეთ «24 საათთან» აღნიშნავს, რომ მერთან შეხვედრაზე წასვლას არ აპირებს, რადგან ეს მაჟორიტარის პრეროგატივა არ არის. **არ ვაპირებთ წასვლას, რადგან ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა მაჟორიტარების პრეროგატივა არ არის. არსებობს შესაბამისი მუნიციპალიტეტები, რომლებიც ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობენ,** - აღნიშნა ხაბარელმა.

თინა ხიდაშელის განმარტებით, ის უკვე არ არის საკრებულოს წევრი და შესაბამისად, ინფორმაციას არ ფლობს. **ვინ წავა მერთან შეხვედრაზე, ამის შესახებ არაფერი ვიცი,** - უთხრა ხიდაშელმა «24 საათს».

როგორც "ქართული ოცნების" სამგორის გამარჯვებული მაჟორიტარი ზურაბ აბაშიძე განმარტავს, თბილისის მერს მას შემდეგ შეხვდებიან, რაც გიგი უგულავა თბილისის მოსახლეობას ბოდიშს მოუხდის.

ზურაბ აბაშიძეც, ვიქტორ დოლიძის მსგავსად, გიგი უგულავას შეთავაზებას პიარად აფასებს. **ეს არის პიარი მისი მხრიდან. უგულავამ ჯერ ბოდიში უნდა მოიხადოს თბილისის მოსახლეობის წინაშე დენისა და ნაგვის გადასახადის გაერთიანების გამო. მას შემდეგ, რაც ის ბოდიშს მოიხდის და ბიუჯეტის შესახებ მთელი პროცესი გამჭვირვალე გახდება, შეიძლება მასთან და მის წარმომადგენლებთან შეხვედრა და ქალაქის თემების განხილვა,** - აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

რაც შეეხება საბურთალოს გამარჯვებული მაჟორიტარის დავით უსუფაშვილის პოზიციას, მისი თქმით, თბილისის ბიუჯეტის საკითხები არა პარლამენტის, არამედ საკრებულოს წევრთა გადასაწყვეტია. **საბიუჯეტო საკითხებში თბილისის მერიას საკრებულოსთან აქვს ურთიერთობა და ამ საკითხებზე მერთან შეხვედრას გამართავენ ის ადამიანები, რომლებიც საკრებულოში კოალიცია "ქართული ოცნების" კვოტით იქნებიან. თბილისის ბიუჯეტზე ზრუნვა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, თუმცა ამ საკითხზე მუშაობენ არა პარლამენტის, არამედ საკრებულოს წევრები,** - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ჟენევის ექო თბილისში

პირველი გვერდიდან

**"მათ მკაფიოდ უნდა ვუთხრათ, რომ საქართველო ომის განახლებას არ აპირებს და ამის შესახებ განცხადებაც არის გაკეთებული,"** - აღნიშნავდა ზაქარეიშვილი თბილისიდან გამგზავრებამდე. მაგრამ, ზაქარეიშვილი უფრო შორსაც მიდის და მიიჩნევს, რომ თუ აფხაზებსა და ოსებს მეტი გარანტიები სჭირდებათ, მაშინ დოკუმენტის ტექსტზე მუშაობის დაწყებაა საჭირო. ამ შემთხვევაში მთავარი საკითხი უცვლელია - დოკუმენტის ხელმომწერი მხარეები უნდა განისაზღვროს. სწორედ ამ საკითხში განსხვავდება ზაქარეიშვილის ხედვა სააკაშვილის ხელისუფლების მიდგომისგან. **"სოხუმს და ცხინვალს თბილისი არ ცნობს, ისინი ჩვენთვის კონფლიქტის მხარეები არიან. ამავდროულად, ჩვენ მზად ვართ, მათთან ხელი მოვაწეროთ, როგორც კონფლიქტის მხარესთან. მშვიდობაზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ დამოუკიდებლობის ცნობის გარეშე,"** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილის მიდგომას კატეგორიულად ეწინააღმდეგება "ევროპელი დემოკრატების" ლიდერი პაატა დავითაია. **"აფხაზებისა და ოსების მხარეებად აღიარებას რუსეთი 20 წლის განმავლობაში მოითხოვდა. თუმცა, დსთ-ს ფორმატშიც, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ისინი მხარეებად არ იყვნენ აღიარებულნი. 2008 წლამდე, გაერო-ს ფორმატშიც აფხაზეთი მოხსენიებული იყო - აფხაზეთი, საქართველო. დღეს, როდესაც ყველა ეს ფორმატი შეჩერებულია და რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო, თუ საქართველოს სახელმწიფო მათ მხარეებად აღიარების საკითხს დააყენებს, ეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დაწყების ტოლფასი იქნება,"** - განაცხადა პაატა დავითაიამ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ახლად არჩეულ ხელისუფლებას მოუწოდებს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სოხუმი და ცხინვალი მხარეებად არ იყვნენ აღიარებულნი, რადგან ეს ქართული სახელმწიფოებრიობის კრახის წინაპირობა იქნება.

დავითაია პოლიტიკურ პარტიებსაც მიმართავს, ამ საკითხზე თავიანთი პოზიცია გამოხატონ: უჭერენ თუ არა მხარს იმას, რომ საქართველომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, როგორც მხარეებთან, მოლაპარაკებები აწარმოოს. **"ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს აფხაზ და ოს ხალხთან, მათთან სახალხო დიპლომატიის გზით დიალოგის წარმოებაა საჭირო. მაგრამ, პრობლემა გვაქვს იმ ადამიანებთან, ვინც ამ რეგიონებში ხელისუფლება მიითვისა და ასევე რუსეთთან, რომელიც ამ კონფლიქტის მხარეა,** - ამბობს დავითაია, - **ახალმა ხელისუფლებამ მხარედ რუსეთი უნდა აღიაროს და ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე მოლაპარაკებები მასთან გამართოს."**

პაატა დავითაია ზოგადად ჟენევის პროცესის შესაძლებლობებსაც სკეპტიკურად უყურებს. **"ჟენევის მოლაპარაკებები არასდროს არანაირ შედეგს არ გამოიღებს, ამას ყოველთვის ვამბობდი. ეს არის საუბარი საუბრისთვის,"** - აღნიშნავს დავითაია.

კონფლიქტის მხარეებად სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას ეწინააღმდეგება "ნაციონალური მოძრაობაც". პარტიის წევრი გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ მარიონეტული რეჟიმები არც აფხაზურ და არც ოსურ საზოგადოებას არ წარმოადგენენ.

ბარამიძის თქმით, საერთაშორისო ინსტიტუტები ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდის ჩადენას აღიარებენ, იქიდან მოსახლეობის 80 პროცენტი გამოდევნილია. **"ამ მარიონეტულ რეჟიმებს ოკუპანტი ძალა - კრემლი მართავს,"** - ამბობს გიორგი ბარამიძე.

ყოფილი ვიცე-პრემიერის აზრით, ასევე სახიფათოა, რომ "ქართული ოცნება", ტერმინ - "კონფლიქტის" ნაცვლად, იყენებს ტერმინს - "კონფლიქტები." **"რუსეთი ვითარების ისე წარმოჩენას ცდილობდა, თითქოს საქართველოს მთავრობას ცალკე კონფლიქტი აქვს აფხაზებთან და ცალკე ოსებთან, რუსეთი კი არაფერ შუაშია,"** - აღნიშნავს ბარამიძე.

მისი აზრით, ეს მიდგომა იქით არის მიმართული, რომ საქართველოს პრობლემა, რომელიც ქვეყანას დამოუკიდებლობის დღიდან რუსეთთან და რუსეთის გამო აქვს, არასდროს მოგვარდეს. **"სწორედ რუსეთი არის ის ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ეწინააღმდეგება. საქართველოს ერთი კონფლიქტი აქვს - რუსეთთან. მას თავისი გავლენის ორბიტაზე საქართველოს დაბრუნება სურს. ამიტომ, ოკუპაციით საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობს,"** - მიიიჩნევს ბარამიძე.

ბარამიძე კოალიცია "ქართული ოცნების" ხელმძღვანელობას მოუწოდებს, მკაფიოდ გამოხატოს თავისი პოზიცია იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებების მხარეებად სოხუმისა და ცხინვალის აღიარება მხოლოდ კოალიციის ცალკეული, მაღალი რანგის პირთა მოსაზრებაა და არა კოალიციის პოლიტიკა. **"სხვა შემთხვევაში, ეს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება იქნება,"** - აცხადებს ბარამიძე.

### შეიარაღების ხელშეკრულების დადების წინაპირობა - რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღიაროს

შეიარაღების ხელშეკრულების დადების წინაპირობად ნატო რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას უყენებს. ამის შესახებ, "რია ნოვოსტის" ცნობით, სერგეი ლავროვმა რუსეთის ფედერაციულ საბჭოში გამოსვლისას განაცხადა. ლავროვის თქმით, ნატო ხელს უწყობს ევროპაში შეიარაღების მხრივ დისბალანსის გამძაფრებას თავის სასარგებლოდ, რუსეთისგან კი "ევროპაში შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების" პირობების შესრულებას მოითხოვს.

**"ეს მაშინ, როცა რუსეთი ამ ხელშეკრულებიდან 2007 წელს გამოვიდა. ევროპაში შეიარაღების კონტროლის ახალი ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ წინაპირობად კი ნატო რუსეთისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას მოითხოვს. ახლა, როცა ჩვენი პარტნიორები ნატო-დან შეიარაღებაზე კონტროლის აღდგენის აუცილებლობის შესახებ საუბრობენ, ისინი ჩვენგან მოითხოვენ არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას 2008 წლისთვის არსებულ ფარგლებში, არამედ ჩვენს დაბრუნებას "ევროპაში შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების" ფარგლებში, მაშინ როცა თვითონვე მოახდინეს ამ ხელშეკრულების საბოტირება,"** - განაცხადა ლავროვმა. მისი თქმით, ნატო-ს მიერ წამოყენებული მოთხოვნები ყოვლად არარეალურია, რის გამოც აზრი ეკარგება ნატო-სთან ერთობლივ მუშაობას შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხში.

### საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობა გადააყენა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა გადადგომის შესახებ. ინფორმაციას პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. საქმე ეხება მინისტრთა კაბინეტს ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. ახალი მთავრობის ფორმირებამდე ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას მოქმედი მთავრობა იღებს. ამის შესახებ პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა.

"მთავრობის გადაყენება წმინდა სამართლებრივი პროცედურა იყო, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვდა. შს მინისტრად ეკა ზღულაძის დანიშვნის შემდეგ ამოიწურა კვოტა, როცა პარლამენტის თანხმობის გარეშე შეიძლება მინისტრების გადანაცვლება. ამიტომ, საჭირო გახდა მთავრობის გადაყენება. მთელი მთავრობის შემადგენლობა პრეზიდენტმა მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა," - განაცხადა ბაქრაძემ "რუსთავი 2"-თან საუბრისას.

# "ოპოზიციის ფუნქციაა, აკონტროლოს მთავრობა და არ ებრძოლოს საკუთარ ქვეყანას"

## ინტერვიუ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთან გოკა გაბაშვილთან

პირველი გვერდიდან

**- ბატონო გოკა, დღევანდელი გადასახედიდან, ნაციონალური მოძრაობის კონკრეტულად რა შეცდომებს დაასახელებთ?**

- ამას მწყობრი ანალიზი სჭირდება. არჩევნებში ძალიან დიდი როლი ითამაშა ციხის სკანდალმა. თუმცა, გარდა ამისა, ბევრი სხვა ფაქტორიც არსებობდა, რამაც ნელ-ნელა ასეთ შედეგამდე მიგვიყვანა. მთავარი იყო მძიმე სოციალური ფონი. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა და ეკონომიკის ზრდისა, პრობლემა ნამდვილად არსებობდა. ამ ფონზე ჩვენი ოპონენტების მხრიდან ძალიან მაღალი სოციალური დაპირებები დასახელდა, მაგრამ დამარცხება-გამარჯვების ბედი საბოლოოდ მაინც ციხის სკანდალმა გადაწყვიტა.

**- თქვენი გუნდიდან ბევრმა აღიარა, რომ ციხეში არსებული პრობლემების შესახებ იცოდა. თქვენ თუ იცოდით და რას აკეთებდით მის აღმოსაფხვრელად?**

- რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით, მაგრამ ამ მასშტაბის არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე ინფორმაცია არ გამოდიოდა. ფაქტია, ეს იყო ციხის აბსოლუტურად არასწორი მართვა და სისტემური ჩავარდნა. ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ორმა მინისტრმა აიღო, ხოლო არჩევნებზე ხალხმა პოლიტიკური პასუხისმგებლობა მთელ «ნაციონალურ მაოძრაობას» დააკისრა. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ჩემი აზრით, ის ყველას უნდა დაეკისროს, ვისაც გამოძიება გამოავლენს.

**- შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ კარგად ვერ შეაფასა ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკური ოპონენტი?**

- მთელი საარჩევნო პერიოდი იგრძნობოდა, რომ ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის ძალიან მძაფრი კონკურენცია იქნებოდა. მაშინ, როცა რვა წელიწადი ხარ ხელისუფლებაში, ბევრი რამ გროვდება, რის გამოც გაგაკრიტიკებენ. ეს კრიტიკა მძაფრი იყო, ზოგ შემთხვევაში - ძალიან პერსონალურიც და ა.შ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ანალიზით, «ნაციონალური მოძრაობა» საარჩევნო მარათონში წინ იყო. მაგრამ, სასწორი ციხის კადრებმა გადახარა. ამ სკანდალმა კი ბევრი სხვა პრობლემა და პრეტენზია მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა. ამის გამო მიიღო ჩვენი თანამოქალაქეების 55-მა პროცენტმა ხელისუფლების შეცვლის გადაწყვეტილება. თუმცა მინდა, თქვენი მეშვეობით, მადლობა გადავუხადო იმ 40 პროცენტს, რომელმაც ჩვენ მოგვცა ხმა. საბოლოო ჯამში, ცუდი არაფერია იმაში, რომ არჩევნების გზით ხელისუფლება შეიცვალა. პირიქით, საქართველოს ისტორიაში ახალი საფეხური იწყება და თითოეული პოლიტიკური ძალა უნდა შეეცადოს, რომ ყველაფერი გააკეთოს ქვეყნისთვის.

**- როგორ შეაფასებთ თქვენს მუშაობას უმრავლესობაში. ხომ იღებდით კანონებს, რომლებიც ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების კრიტიკას იმსახურებდა?**

- სჯობს, წარსულზე არ ვისაუბროთ და მომავალზე გავაკეთოთ აქცენტი, რადგან წარსულის შეფასებას დიდი დრო სჭირდება. პოლიტიკური ძალა, რომელიც არჩევნებში მარცხდება, ამის გაანალიზებას დაუყოვნებლივ არ იწყებს. რა თქმა უნდა, ჩვენთან მიდის საუბარი, მსჯელობა, დისკუსია, რომ რაღაცები სხვანაირად უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის გზა, რომელიც ქვეყანამ ვარდების რევოლუციის შემდეგ გაიარა, ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო საქართველოს წინსვლისთვის. ამის დასტურია ის, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება მოხდა. მე ჩასაფრებულ მდგომარეობაში არ ვარ და ვერ ვიტყვი, რას გააკეთებს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ახლა მოვიდა. ისიც არასწორად მიმაჩნია, ზოგიერთი მათგანი რომ ამბობს, სამწუხაროდ, ბევრი რამ გაკეთებულა ქვეყანაშიო. თუმცა, არც იმის მომხრე ვარ, წინასწარ დავაანონსო, რომ ახალი უმრავლესობა უკეთესს ვერაფერს გააკეთებს. თუ რამე კარგს გააკეთებენ, იმავე საკანონმდებლო დონეზე მხარს დავუჭერთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური სეგმენტი აბსოლუტურად განსხვავებული იყო აქამდეც და ახლაც ასეა. კოალიცია «ქართული ოცნება», როგორც პოლიტიკური პარტია, გარკვეულ ტრანსფორმაციას გადის. ახლა ხშირად უწევთ იმის საპირისპიროს თქმა, რასაც არჩევნებამდე ამბობდნენ.

**- ახალმა უმრავლესობამ უკვე განაცხადა, რომ ცვლილება შევა კონსტიტუციაში და პარლამენტი ქუთაისიდან კვლავ თბილისში დაბრუნდება.**

- პარლამენტის ქუთაისში გადატანა ძალიან დაეხმარება ქუთაისის ეკონომიკის განვითარებას. ეს ძალიან კარგია მთლიანად ახალი საქართველოს მშენებლობისთვის, რეგიონული განვითარებისთვის, დივერსიფიკაციისთვის, პოლიტიკური სიტუაციის გაფართოებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ამას ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ ამ მხრივ კონსტიტუციის ცვლილებაზე უნდა ვისაუბროთ.

**- უმრავლესობა გეგმავს, შეამციროს პრეზიდენტის უფლებამოსილებაც...**

- პირველ რიგში, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებაზე ორივე პოლიტიკური გუნდის თანხმობაა საჭირო, რადგან არც ერთ მხარეს არა აქვს საკონსტიტუციო ცვლილების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა. მოიპოვო საპარლამენტო უმრავლესობა და ამ გზით შეეცადო, ჩაერიო ხელისუფლების სხვა შტოს უფლებამოსილებაში, ეს, ჯერ ერთი, პოლიტიკურად არასწორია და მეორე - კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ეყოლებათ.

**- ქართული ოცნების წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, რომ შეამცირებენ მომავალი პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას, რომელიც ახალ კონსტიტუციაში ძალიან გაზრდილია. თუ დაეთანხმებით ამ ინიციატივას, მით უმეტეს, რომ მომავალი პრემიერი სწორედ უმრავლესობის წამომადგენელი იქნება.**

- წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე რეალურ დოკუმენტს არ გავეცნობი, მით უმეტეს, როცა კოალიციის ერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არ დაამყარებს, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულიაო, ხოლო მეორე ამ ურთიერთობის აღდგენას მხარდაჭერას უცხადებს. ერთი ამბობს, «ნატო» ჩვენი მიზანიაო, მეორე კი აცხადებს, რომ საქართველო ამ გზისთვის მზად არ არისო და ა.შ. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური გუნდი მართვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის არ ემზადებოდა. შესაბამისად, არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული პოზიციები არა თუ კონსტიტუციურ ცვლილებაზე, არამედ კარდინალურ პოლიტიკურ საკითხებზეც. ისინი ახლა ეცნობიან, თუ რა ხდება ქვეყანაში. აქამდე ამბობდნენ - ხაზინა ცარიელია, საქართველოს ბიუჯეტი არ არსებობს, ეკონომიკა ჩამონგრევის პირზე არისო. ჩაიხედეს საქმეში და მიხვდნენ, რომ ხაზინა სავსეა, ბიუჯეტი სრულდება და არანაირი ჩავარდნა არ ყოფილა. სავალუტო რეზერვები ისეთ სიმაღლეზეა, რაც არასდროს ყოფილა. მოკლედ, ვნახოთ. ხალხი მათ ენდო, მისცა უმრავლესობა, რომელიც ჩამოაყალიბებს მთავრობას. როგორც ჩანს, მათი მთავრობა ახლა დაიწყებს ფიქრს, რა უნდა გააკეთოს მომავალში. შესაბამისად, როდესაც ისინი ამის დეკლარირებას მოახდენენ, ჩვენ მას შემდეგ გამოვხატავთ პოზიციას.

**- მახსოვს, ერთხელ მიხეილ სააკაშვილმა თქვა, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, გაცილებით ძლიერი ვიქნებოდი, ვიდრე დღევანდელი ოპოზიციაო. თქვენ ამბობთ, რომ ქართული ოცნება მზად არ იყო უმრავლესობაში მოსასვლელად, მაგრამ თქვენ თუ ხართ მზად ოპოზიციაში ყოფნისთვის?**

- მე წარმომიდგენია ჩემი თავი ოპოზიციაში, რადგან თავის დროზე ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი ვიყავი. ამიტომ ზუსტად ვიცი, როგორც ვმუშაობდით და რა უნდა ვაკეთოთ ახლა. რა თქმა უნდა, ჩვენ გამარჯვების იმედი გვქონდა და ვემზადებოდით, რომ ყველა ის პროექტი, რომლებსაც ვახორციელებდით, გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ხალხის არჩევანია. რაც შეეხება ოპოზიციას, მისი ფუნქციაა, აკონტროლოს მთავრობა და არ ებრძოლოს საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს.

**- დღეს რას აკეთებს ნაციონალური მოძრაობა ?**

- ბევრი ტექნიკური დეტალი ზუსტდება, საოლქო უბნებში დამთავრდა არჩევნების შედეგების შეჯამება, მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, მალე შემაჯამებელი ოქმი იქნება და პირველი სხდომა გაიმართება. პარტია ადგილებზე თავის ორგანიზაციებთან მუშაობს, რათა ახალი ამოცანები დაუსახოს და ახალი რეალობა აუხსნას, გადაეწყოს როგორც ოპოზიციური პარტია - ეს არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- ოპოზიციური პარტია, რომელსაც ეყოლება თავისი საპრეზიდენტო კანდიდატი. თუ ემზადებით უკვე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და თუ შეგიძლიათ დაასახელოთ კანდიდატი?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ ის არასერიოზული ოპოზიცია, რომელიც ემიჯნება არჩევნებს. კანდიდატი გვეყოლება, ამას სჭირდება შიდაპარტიული დისკუსია, გადაწყვეტილებები. დიდი დრო აღარ არის დარჩენილი და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება მალე უნდა დავიწყოთ.

# ქართული ჩაი - 90 პროცენტით საექსპორტო პროდუქტი

ნინო ნარჩემაშვილი



დღეისათვის საქართველოში ქართულ ჩაის შიდა ბაზრის 10-11 პროცენტი უკავია. ადგილობრივად წარმოებული ჩაის პროდუქციის დაახლოებით 90 პროცენტი ექსპორტზე გადის. საქართველოში დაახლოებით 20-25 ჩაის ფაბრიკა ფუნქციონირებს და ქართული ჩაის ბევრი კონკურენტიანი ბრენდიც გვაქვს. მიუხედავად ამისა, ქართული ჩაის ცნობადობა მაინც დაბალია. საქართველოს ჩაის ასოციაციის ხელმძღვანელი თენგიზ სვანიძე ამას საბჭოთა ცნობიერებას მიაწერს, როცა ქართული ჩაი უხარისხო პროდუქციასთან ასოცირდებოდა, რომელიც ორიენტირებული იყო რაოდენობაზე და არა - ხარისხზე.

სტატისტიკური მონაცემები ჩაის ბაზრის შესახებ ბოლოს 2011 წლის იანვარ-ნოემბერში გამოქვეყნდა. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველოდან ექსპორტზე 1 650 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 1 937 ტონა ჩაი გავიდა, იმპორტის სიდიდემ ამავე პერიოდში 734 ტონა (4,478 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა.

საქართველოდან ექსპორტი სულ 22 ქვეყანაში გავიდა. ექსპორტის მიხედვით ლიდერობს მონღოლეთი 618 ტონით (32 პროცენტი), უკრაინა (266 ტონა 14 პროცენტი), გერმანია (196 ტონა 10 პროცენტი) და თურქმენეთი (168 ტონა 9 პროცენტი), ექსპორტის 35 პროცენტი დანარჩენ 18 ქვეყანაზე მოდის. იმპორტი 25 ქვეყნიდან მოხდა. იმპორტის მიხედვით პარტნიორი ქვეყნების პირველი სამეულია: აზერბაიჯანი - 333 ტონით (45 პროცენტი), შრი ლანკა - 170 ტონა (23 პროცენტი) და ირანი - 101 ტონა /(14 პროცენტი), იმპორტის 18 პროცენტი დანარჩენ 22 ქვეყანაზე მოდის.

საექსპორტო ჩაის 1 კგ. საშუალო ფასი 0,85 აშშ დოლარია, იმპორტირებულის კი - 6,1 აშშ დოლარი. ადგილობრივმა წარმოებამ 2010 წ. 3 500 ათასი ტონა შეადგინა (შედარებისთვის, 2009 წელს იგივე მაჩვენებელი 5 800 ტონა იყო, 2008 წელს - 5 400 ტონა, ხოლო 2007 წელს - 7 500 ტონა).

«ბიზნეს ექსპლორერის» კვლევის მიხედვით, მომხმარებლებში ყველაზე პოპულარულია: ფერის მიხედვით - შავი ჩაი, დაფასოების მიხედვით - ჩაი ერთჯერად პაკეტებში. საშუალო მომხმარებელი ჩაის არჩევს საკუთარი გამოცდილებით, შემდეგ რიგში კი - სხვისი რჩევით. სეზონურობით - ზამთარში იყიდება დაახლოებით 1,35-ჯერ მეტი ჩაი, ვიდრე ზაფხულში.

ჩაი უმეტესად ასოცირდება ოჯახთან, მოსვენებასთან და სიმშვიდესთან. ყველაზე მეტ ჩაის მომხმარებელი მიირთმევს ოჯახში, შემდეგ - სამუშაო ადგილზე. ჩაი ყველაზე ხშირად და მეტი რაოდენობით იყიდება მყიდველთა ახლოს მდებარე მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში.

ქართული კომპანიებიდან ადგილობრივ საცალო ქსელში - გურიელი (ჯეოპლანტი), სამაია, მარნეული და ტყიბულის ჩაი ლიდერობენ. ქართული ჩაის წილი ქართულ ბაზარზე 20%-ის ფარგლებშია. საქართველოს ბაზარზე კი ოცამდე ადგილობრივი მწარმოებელი მოქმედებს.

ქართული ჩაის შელახული რეპუტაციის გამო, ადგილობრივი ბაზარი 90%?ით შეივსო იმპორტირებული პროდუქციით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვადაგასული და ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ამ ბოლო დროს დარგმა ორიენტაცია შეიცვალა და, რაოდენობის ნაცვლად, აქცენტი ხარისხიანი ჩაის წარმოებაზე გადავიდა. ამ მიმართულებით ფასდაუდებელი შრომა გასწია კომპანია "გეოპლანტმა", რომელიც, ეს?ეს არის, უმაღლესი ხარისხის პროდუქციით შემოვიდა ქართულ ბაზარზე.

მამია გურიელის ღვაწლის გამო შპს «გეოპლანტმა" დაფასოებული ჩაის ერთ?ერთ სახეობას გურიელის სახელი უწოდა. "გურიელი ექსპორტი" არის ჩაის ქართული ბრენდი, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ჩაის დიდების დაბრუნებას და უხარისხო იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივ ბაზარზე. კომპანიის პროდუქცია დიდი წარმატებით სარგებლობს უცხოურ ბაზარზე, სადაც ის დიდი რაოდენობით ნედლეულის სახით გადის. "გეოპლანტის" ჩაი ადგილობრივ ბაზარზეც იყიდება, რაც საშუალებას იძლევა, არჩევანი გავაკეთოთ ნატურალურ ქართულ პროდუქციასა და არაჯანსაღ, დაძველებულ და ქიმიური მინარევებით გაჯერებულ იმპორტირებულ ჩაის შორის.

საქართველოში იმპორტირებული ჩაი მაინცდამაინც დიდი ხარისხით არ გამოირჩევა, კვლევებმაც დაადასტურა, რომ ზოგიერთი მათგანი ხელოვნური საღებავებითაა გაჯერებული, ზოგიერთ მათგანში არის  ობის" სოკო, ანუ საქართველოში იმპორტირებული ჩაი, ძირითდად, ძველი პროდუქციაა, - აცხადებს საქართველოს ჩაის ასოციაციის ხელმძღვანელი თენგიზ სვანიძე, - მარიამი", ფინალი" და აზერჩაი" აზერბაიჯანიდან შემოდის, მაგრამ ეს აზერბაიჯანული ჩაი არ არის. იქ იმდენი ჩაი არ აქვთ, რომ თვითონაც დალიონ და ჩვენც გამოგვიგზავნონ. ეს არის მესამე ქვეყნებში შეძენილი პროდუქცია, რომელსაც ბაქოში აფასოებენ. ალბათ ჩაის ყიდულობენ ინდოეთში, შრი ლანკაში, ამბობენ, რომ ვიეტნამშიც. ჩვენი ვარაუდით, ეს ძველი პროდუქციაა და ეს ვარაუდი ლაბორატორიული კვლევის შედეგადაც დადასტურდა."

# "მეგაფონმა" უცხოური ინვესტორები ვერ მოიზიდა

თინა შავაძე




ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა Goldman Sachs-მა, ალიშერ უსმანოვის განცხადებების გამო, რომელიც ქვეყნის სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის საკონტროლო პაკეტს ფლობს, უარი თქვა "მეგაფონის" IPO-ში მონაწილეობაზე, - წერს Financial Times-ი.

რუსეთის უმდიდრესმა ადამიანმა გასულ თვეში Reuters-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აპირებს, საკუთარი აქტივები ერთ ჰოლდინგში გააერთიანოს და საქმეებს ჩამოსცილდეს.

თავის მხრივ, "მეგაფონის" ხელმძღვანელმა ივან ტავრინმა Goldman Sachs-ის მიერ აქციების პირველად განთავსებაზე უარის თქმა გარიგების ვადებით ახსნა, რომელიც 9 ოქტომბრამდე დასახელდა. როგორც ჩანს, ეს ვადები Goldman Sachs-ს ხელს არ აძლევს.

Goldman Sachs-ი გარიგების ერთ-ერთი მთავარი კოორდინატორი იყო. "მეგაფონის" IPO-ში მონაწილეობის შესახებ ჯერ კიდევ 2008 წლიდან არის ცნობილი. ახლა აქციების განთავსების კოორდინატორებად ამერიკული Morgan Stanley და რუსული "სბერბანკი" რჩებიან.

Financial Times-ის შეფასებით, Goldman Sachs-ის პოზიციის გამო "რუსეთის მორიგმა მცდელობამ, მოეზიდა უცხოური ინვესტორები, წარუმატებლობა განიცადა." ამასთან, გამოცემის შეფასებით, Goldman Sachs-ის გადაწყვეტილება "მეგაფონს" ჩრდილს აყენებს.

რუსული "კომერსანტის" ინფორმაციით, აქციების განთავსება 1-ელ ნოემბერსაა დაგეგმილი მოსკოვისა და ლონდონის საფონდო ბირჟებზე.

თავისუფალ ბრუნვაში გაიყიდება "მეგაფონის" მეწილე კომპანიების აქციები, მათ შორის Sonera Holding BV-ის, სკანდინავიური შვილობილის TeliaSonera AB (35,6 პროცენტი), ასევე "მეგაფონის" კვიპროსის შვილობილი -Megafon Investments Limited (14,4 პროცენტი), მეგაფონის ინვესტიციები Limited (14,4 პროცენტი).

საბაზრო წყაროები ამბობენ, რომ მობილური ოპერატორი გეგმავს, აქციების 20 პროცენტი გაყიდოს და 3 მილიარდი დოლარი მოიზიდოს.

ცნობისათვის - მიმდინარე წლის აპრილში უსმანოვმა მიხეილ ფრიდმანის კომპანია Altimo-სგან და სკანდინავიური TeliaSonera-სგან "მეგაფონის" აქციები გამოისყიდა და მობილურ ოპერატორში საკუთარი წილი 50 პროცენტი + ერთ აქციამდე გაზარდა.

# ჩინეთ-იაპონიის დავა - ვინ დაზარალდა და ვინ მოიგო

თინა შავაძე

ჩინეთ-იაპონიის ტერიტორიულმა დავამ სენკაკუ არქიპელაგისთვის, ნეგატიური გავლენა მოახდინა იაპონიის ეკონომიკაზე - მისი კომპანიების მომგებიანობა ჩინეთის ბაზარზე დაეცა. ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ამ ფონზე მე-4 კვარტალში იაპონიის მშპ შეიძლება, მკვეთრად შემცირდეს.

ჩინეთში იაპონური მანქანების გაყიდვები შემცირდა. ჩინელმა ტურისტებმა იაპონიაში დაგეგმილ ვიზიტებზე უარი მასობრივად გამოაცხადეს. ღია საჩოგბურთო ტურნირი China Open-ი მთელი კვირის განმავლობაში პეკინში მაყურებელთა პროტესტის თანხლებით მიმდინარეობდა - ისინი ღონისძიების ძირითად სპონსორს, კომპანია Sony-ის უსტვენდნენ.

როგორც Associated Press-ი აღნიშნავს, დავის საგანი - სენკაკუს კუნძულები - განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობის მატარებელი არ არის. კუნძულებზე არ არსებობს ბიზნესი, გზები, მაღაზიები, ხალხიც კი არ ცხოვრობს.

J.P. Morgan-ის პროგნოზით, იაპონური მანქანების ექსპორტი ჩინეთში ოქტომბერ-დეკემბერში - 40 პროცენტით, ხოლო ავტონაწილების - 40 პროცენტით შემცირდება. დაახლოებით, 35-40 პროცენტით დაიკლებს სხვა სამომხმარებლო საქონლის, მათ შორის ელექტრონიკის შესყიდვები.

Toyota-ს ახალი მანქანის გაყიდვები ჩინეთში, 2011 წლის სექტემბერთან შედარებით, გასულ თვეში 49 პროცენტით (44, 1 ათასი მანქანა) შემცირდა, Honda-სი - 41 პროცენტით, Nissan-ის - 35 პროცენტით.

მომავალ თვეებში მოსალოდნელია იაპონიის მიმართულებით ჩინელი ტურისტების რაოდენობის შემცირება 70 პროცენტით, ხოლო ჩინეთს 30 პროცენტით ნაკლები იაპონელი ტურისტი ეწვევა, ვიდრე შარშან.

"ყველაზე ოპტიმისტური სცენარის პირობებშიც კი იაპონიის ეკონომიკა აღდგენას დაიწყებს 2013 წლის მე-2 კვარტალში. წინ რაც გველოდება, უბრალოდ, საშინელება იქნება და კიდევ ერთხელ გაგვახსენებს გასული წლის უბედურებას," - ამბობს JP Morgan-ის მთავარი ეკონომისტი იაპონიაში მასაკი კანო.

2011 წელს იაპონიამ თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიწისძვრის უბედურება განიცადა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა - განსაკუთრებით საავტომობილო სექტორი, რომელმაც მძიმე დანაკარგები განიცადა.

ჩინეთმა ოთხშაბათს ოფიციალურად დაადასტურა, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ძოი ჰიაჩუანი და ფინანსთა მინისტრი ძიუ სუაჩუნი არ დაესწრებიან საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ წამყვანმა ჩინურმა ბანკებმა უარი განაცხადეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ იაპონიაში ორგანიზებულ ღინისძიებებში მონაწილეობაზე.

როგორც Financial Times წერს, ჩინეთ-იაპონიის ტერიტორიულმა დავამ პოზიტიურ გავლენა მოხდინა სამხრეთ კორეის კომპანიების მოგებაზე. ავტომწარმოებლებმა Hyundai-მ და Kia-მ სექტემბერში ჩინეთის ბაზარზე გაყიდვების მაქსიმუმი აჩვენეს -127,83 ათასი ავტომობილი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.5 პროცენტით მეტია.

თუმცა, კომპანიები უარყოფენ, რომ მათი წარმატება ტოკიოსა და პეკინს შორის არსებული უთანხმოების შედეგია. ისინი გაყიდვების გაუმჯობესებას ჩინეთში კომპაქტური მანქანების, მათ შორის Avante-სა და Pride-ს პოპულარულობით ხსნიან.

# "Pussy Riot"-ის საქმე ნაწილობრივ გადაისინჯა

ივა შილაკაძე



10 ოქტომბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ სკანდალური პანკ-ჯგუფის წევრების საკასაციო სარჩელი განიხილა. ჯგუფის ორი წევრის - მარია ალიოხინას და ნადეჟდა ტოლოკონიკოვას მიმართ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვეს, ხოლო ეკატერინა სამუცევიჩს პირობითი ვადით შეუცვალეს და სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამუცევიჩის მიერ ადვოკატების შეცვლამ და ამ უკანასკნელების მიერ სხვა ტაქტიკის არჩევამ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებას თუნდ სამუცევიჩის მიმართ მაინც დაჰკრავს პოლიტიკური გადაწყვეტილების კვალი. ამის თაობაზე ექსპერტებიც და ადვოკატებიც ღიად საუბრობენ. გუშინწინ სამუცევიჩმა სასამართლოს დარბაზთან მოკლე კომენტარი გააკეთა და შემდეგ ჟურნალისტების ალყას ძლივს დაღწია თავი, თუმცა უკვე გუშინ ინტერვიუ მისცა "სი-ენ-ენ"-ს. მისი სიტყვებით, მათი აქციისა და დაპატიმრების შემდეგ რუსეთში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რისი ნათელი მაგალითიც არის თუნდ პანკ-ჯგუფის განაჩენი.

"Pussy Riot"-ის საქმეს დაწვრილებით აშუქებდა "24 საათი", შესაბამისად, ჩვენ დეტალებზე აღარ შევჩერდებით. საკასაციო სარჩელი მოსკოვის საქალაქო სასამართლოს 10 დღის წინ უნდა განეხილა, მაგრამ მაშინ სხდომა ეკატერინა სამუცევიჩის მიერ ადვოკატებზე უარის თქმის გამო ჩაიშალა. თავიდან ჯგუფის სამივე წევრს იცავდნენ ვიოლეტა ვოლკოვა, მარკ ფეიგინი და ნიკოლაი პოლოზოვი. სამივე ცნობილია ოპოზიციონერების დაცვით და ლამის პოლიტიკურ ფიგურებად მიიჩნევიან, განსაკუთრებით ეს ითქმის ვიოლეტა ვოლკოვაზე. სამუცევიჩის დაცვა იკისრეს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია "აგორას" იურისტებმა ირინა ხრუნოვამ და ფარიტ მურტაზინმა. ეკატერინა სამუცევიჩი მიიჩნევდა, რომ წინა ადვოკატები მას სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ და ჯგუფის სამივე წევრის მიმართ ერთიანი მიდგომა იყო. ხრუნოვამ და მურტაზინმა ტაქტიკა შეცვალეს. მათ სასამართლოს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მათი კლიენტი ნაკლებად დამნაშავეა, რადგან უბრალოდ ვერც მოასწრო იმის ჩადენა, რაც სასამართლომ დანარჩენებს მთავარ დანაშაულად ჩაუთვალა. ანუ ცეკვა, ხელების და ფეხების ქნევა და ლანძღვა ტაძარში ამბიონზე. სამუცევიჩმა მოასწრო მხოლოდ ბარიერზე გადაბიჯება, პალტოს გახდა, თავზე ნიღბის ("ბალაკლავა") ჩამოცმა და ორი საფეხურის ავლა. ამასობაში ის ტაძრიდან გაიყვანეს.

საკუთარ გამოსვლებშიც ჯგუფის სამივე წევრმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადეს, რომ მორწმუნეთა შეურაცხყოფა არ უფიქრიათ და თუ ვინმე თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს, ბოდიშს უხდიან. მათი აქცია პოლიტიკური იყო და ხელისუფლების წინაღმდეგ იყო მიმართული. შესაბამისად, არაფრის მონანიებას არ აპირებენ და საკუთარ პოზიციაზე რჩებიან. თუმცა ჯგუფის წევრების სიტყვებში სასამართლოს წინაშე მაინც იყო განსხვავება. ალიოხინას და ტოლოკონიკოვას გამოსვლები უფრო პოლიტიკურად დატვირთული იყო და იგივე პათოსით გამოდიოდნენ მათი ადვოკატებიც. მოსამართლემ მათ რამდენჯერმე სთხოვა, საქმის არსზე ელაპარაკათ. ალიოხინამ სიტყვის დამთავრება მაინც შეძლო, ტოლოკონიკოვა ბოლოს იძულებით დასვეს სკამზე. ეკატერინა სამუცევიჩი უფრო კონკრეტულად პასუხობდა მოსამართლის კითხვებს. პანკ ჯგუფის წევრებმაც და მათმა ადვოკატებმაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი სასამართლოზე ზეწოლაში დაადანაშაულეს. ტოლოკონიკოვამ ისიც განაცხადა, რომ "ჩვენ წავალთ კოლონიაში, აქ კი სამოქალაქო ომი დაიწყება. პუტინი ამისთვის ყველაფერს აკეთებს". ალიოხინამ გაიხსენა პუტინის სიტყვებიც, რომელმაც განაცხადა, რომ იცის სიტყვების "Pussy Riot"-ის თარგმანი მაგრამ მათ ეთერში ვერ წარმოთქვამს. ალიოხინამ დასძინა, რომ მას შეუძლია ამის გაკეთება - ეს არის "ფისოების ამბოხი" (бунт кисок) და უფრო უხერხული არ არის, ვიდრე პუტინის ცნობილი გამოთქმა "мочить в сортире".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამუცევიჩს პირობითი სასჯელი აკმარეს, შემოწმების და შეზღუდვების ჩვეულებრივი პაკეტით, ტოლოკონიკოვა და ალიოხინა კი კოლონიებში გაამწესეს. მათი ექსტრადიცია ათი დღის ვადაში უნდა მოხდეს. ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა პანკ-ჯგუფის წევრებისა და მათი ადვოკატების თხოვნა საგამოძიებო იზოლატორში დატოვების თაობაზე. ამის შესახებ ცნობილმა საბჭოთა დისიდენტმა და ამჟამად ბლოგერმა ალექსანდრ პოდრაბინეკმა დაწერა, რომ ვილაცამ გოგონებს ცუდი რჩევა მისცა, რადგან ამით მათ ციხის ადმინისტრაციას შანტაჟისა და ზეწოლის საშუალება მისცეს. პოდრაბინეკმა მკითხველებს შეახსენა ციხეში მყოფი დისიდენტების "მცნება" - "არ ენდო, არ შეგეშინდეს, არ ითხოვო."

მიმომხილველები, მათ შორის, "დრუგაია როსიას" ლიდერი ედუარდ ლიმონოვი აცხადებს, რომ სამუცევიჩმა გათავისუფლებას მიაღწია ძველ ადვოკატებზე უარის თქმით. ხელისუფლებამ ამით საჯაროდ სილა გააწნა ცნობილ "პოლიტიკურ" ადვოკატს ვიოლეტა ვოლკოვას, რომელმაც დაცვის აგრესიული სტილი შეარჩია და პერიოდულად მოსამართლესაც აყენებდა შეურაცხყოფას.

სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისას ეკატერინა სამუცევიჩმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ მოხარულია გათავისუფლების გამო, მაგრამ ძალიან დაიღალა, უნდა დასვენება და მედიას მოგვიანებით დაელაპარაკება. მან სიტყვის შესრულება გუშინვე დაიწყო და ინტერვიუ მისცა "სი-ენ-ენს". მან განაცხადა, რომ წუხს ჯგუფის დანარჩენი წევრების გამო და საპროტესტო აქციებს გააგრძელებს, ოღონდ სიფრთხილის გარკვეულ ზომებს დაიცავს. მან თქვა: "ჩვენ ვცხოვრობთ საერო სახელმწიფოში. შესაბამისად, ეკლესიის წარმომადგენლები არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკაში. ჩვენი აქციით ამისთვისაც გვინდოდა გაგვესვა ხაზი". მანვე უარყო რაიმე განხეთქილება ჯგუფში.

წარმატების ფორმულაზე გუშინ კომენტარები გააკეთეს როგორც ჯგუფის ძველმა, ასევე სამუცევიჩის ახალმა ადვოკატებმაც. მათი შეფასებები ერთმანეთისგან პრინციპულად არ განსხვავდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ უმაღლეს სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვამდე ადვოკატები ალიოხინამ და ტოლოკონიკოვამაც შეიცვალონ.

# მოსკოვი-დამასკოს რეისი თურქეთმა ძალით დასვა ანკარაში

პირველი გვერდიდან

"Airbus A320" კლასის სამგზავრო თვითმფრინავს თურქულმა მოიერიშეებმა დაშვება იმ მიზეზით აიძულეს, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების საფუძველზე ეჭვი ჰქონდათ სირიისთვის სამხედრო ტვირთის მიწოდებაზე. თურქული მხარის განცხადებით, თვითმფრინავის ჩხრეკისას, რომლის ბორტზეც 35 მგზავრი იმყოფებოდა, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სამხედრო დანიშნულების ტვირთიც აღმოაჩინეს, რომელიც, სავარაუდოდ, ასადის რეჟიმისთვის იყო განკუთვნილი. თურქული მედიის ინფორმაციით, სამგზავრო თვითმფრინავში აღმოჩენილ ტვირთს შორის იყო როგორც სამხედრო რადიოკავშირის მოწყობილობა, ასევე აგრეგატები, რომლებიც სარაკეტო კომპონენტებადაც შესაძლოა ჩაითვალოს. საჰაერო ტრანსპორტის ჩხრეკა ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რის შემდეგაც სამგზავრო თვითმფრინავს გზის გაგრძელების უფლება მიეცა.

რუსული მხარე ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. პირველ რიგში, ინციდენტს ანკარაში რუსეთის საელჩო გამოეხმაურა და განაცხადა, რომ თვითმფრინავიდან ამოღებული ტვირთი რუსული წარმოშობის არ არის. შეფასება ინციდენტს დამასკოშიც მოჰყვა. "სირიის ავიახაზების"კუთვნილი თვითმფრინავის შემთხვევაში თურქეთის ხელისუფლების მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა საჰაერო მეკობრეობა," - განაცხადა სირიის ტრანსპორტის მინისტრმა. თუმცა, თავდაცვითი აღჭურვილობის რუსული წარმომავლობის შესახებ უკვე ისაუბრა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. "სამგზავრო თვითმფრინავით არ შეიძლება აღჭურვილობის, მით უფრო, თავდაცვითი აღჭურვილობის ტრანსპორტირება, მაგრამ საუბედუროდ, ბორტზე ასეთი იარაღი იყო," - განაცხადა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. მისი თქმით, აღჭურვილობა სირიის თავდაცვის უწყებისთვის იყო განკუთვნილი. "ცნობილია გამგზავნიც და ადრესატიც. ეს უკვე დადგინდა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით," - განმარტა მოგვიანებით ასევე პრემიერ-მინისტრმა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი, ოფიციალური ანკარა მომავალშიც შეაჩერებს ნებისმიერი ტიპის იარაღის ტრანსფერს სირიისთვის თურქეთის საჰაერო სივრცის გავლით. "ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ვაკონტროლოთ რეჟიმისთვის იარაღის მიწოდება, რომელიც საკუთარ მშვიდობიან მოქალაქეებს უსასტიკესად უსწორდება. ყოვლად დაუშვებელია, რომ ასეთი ტიპის ტვირთის ტრანსპორტირება ჩვენი საჰაერო სივრცის გავლით ხდებოდეს," - განაცხადა აჰმეტ დავუთოღლუმ.

როგორც თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს, აღნიშნული ინციდენტი ჯერჯერობით თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე უარყოფითად არ იმოქმედებს. რუსეთი კი, რუსული მედიის ინფორმაციითვე, საკითხის ძირითად არსზე კონცენტრირებას უკვე საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთებას ამჯობინებს და პირდაპირ პასუხებს თავს არიდებს. "თურქულმა მხარემ არ აცნობა ანკარაში რუსეთის საელჩოს იმის შესახებ, რომ დაკავებული თვითმფრინავის მგზავრებს შორის რუსეთის მოქალაქეებიც იმყოფებიან. ჩვენ ამის შესახებ ელექტრონული მედიიდან შევიტყვეთ. რუსული მხარე დაჟინებით მოითხოვს თურქეთის ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მოქალაქეების მიმართ ასეთი მოქმედებების განმარტებას და მომავალში ანალოგიური ინციდენტების თავიდან არიდებას," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა.

თურქული მხარე კი აცხადებს, რომ შეშფოთების საფუძველი რუსეთს ნამდვილად არ აქვს, რადგან მგზავრებს თვითმფრინავის შემოწმების დროს მოსაცდელ დარბაზში ყოფნა სთხოვეს და იქვე მორიგეობდა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში მგზავრებს დახმარებას გაუწევდა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პრეზიდენტ პუტინის თურქეთში ვიზიტი, რომელიც 14-15 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, ნოემბრისთვის გადაიდო. ორივე მხარე აცხადებს, რომ ეს ტექნიკური მიზეზებით ხდება და პუტინის გადატვირთულ გრაფიკს უკავშირდება. ოფიციალური პოზიციით განსხვავებული მიდგომა სირიის საკითხისადმი აქ არაფერ შუაშია. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ეს "შუაშიც" არის და "თავშიც", ისევე როგორც თვითმფინავის გუშინდელი ინციდენტი.

## კამერონი ბრიტანეთის "აღმასვლის" პირობას დებს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი დახმარებას დაჰპირდა იმ ხალხს, რომელთაც "ცხოვრებაში წარმატების მიღწევა სურთ." საკუთარი პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ასევე აღიარა, რომ ეკონომიკის აღდგენას იმაზე მეტი დრო სჭირდება, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. თუმცა, პრემიერის თქმით, ლეიბორისტები ქვეყნისათვის ალტერნატივას არ წარმოადგენენ და ქვეყანა სირთულეს მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით დაძლევს.

50-წუთიან გამოსვლაში კამერონი შეეცადა, მყარად წარმოეჩინა საკუთარი ხედვა, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა ეკონომიკური ვარდნიდან. "ჩემი ამოცანა - ჩვენი ამოცანაა - ისე ვიმოქმედოთ, რომ ბრიტანეთი აღმასავლის გზით წავიდეს. ჩვენ ვიცით, როგორ გავაკეთოთ ეს," - აღნიშნა პრემიერმა. მან, აგრეთვე, პირობა დადო, რომ შეხვდება შოტლანდიის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ალექს სალმონდს და «გაარკვევს» შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის საკითხს. ცხადია, ლონდონი არ არის შოტლანდიის გამოყოფის მომხრე და კონსერვატორებიც ცდილობენ, არ დაუშვან ამ რეფერენდუმის ჩატარება.

## უდალცოვი საგამოძიებო კომიტეტში დაიბარეს

"მემარცხენე ფრონტის" ლიდერი სერგეი უდალცოვი პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტში დაკითხვაზე დაიბარეს. მას დაკითხავენ ტელეარხ НТВ-ზე გასულ ფილმში "პროტესტის ანატომია-2"-ში მოყვანილი ბრალდებების შესამოწმებლად. უდალცოვი საგამოძიებო კომიტეტში თავის ადვოკატთან, ვიოლეტა ვოლკოვასთან ერთად გამოცხადდა. ფილმის ავტორები ირწმუნებიან, რომ ოპოზიცია უცხოეთიდან შემოსული ფულის დახმარებით ხელისუფლების ძალით გადაყენებას გეგმავს.

## მალაიზიაში მამაკაცებს ქალის ტანისამოსის ტარება აეკრძალებათ

მალაიზიის სასამართლომ შარიათის ერთ-ერთი კანონი აამოქმედა, რომელიც მამაკაცებს ქალის ტანისამოსის ტარებას უკრძალავს. ეს საკითხი ოთხი ტრანსექსუალის საჩივრის საფუძველზე განიხილეს, რომლებიც ქალის თმის სამაგრების ტარებისათვის დააკავეს. მოსამართლემ დაადგინა, რომ მომავალში მუსლიმები და ზემოთხსენებული ტრანსექსუალებიც შარიათის კანონებს დაემორჩილებიან.

## "თურქულ თვითმფრინავებს სირიის გავლით ფრენა აეკრძალათ"

თურქული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, თურქულ თვითმფრინავებს სირიის გავლით ფრენა აეკრძალათ. ეს არის თურქეთის ხელისუფლების ქმედებაზე პასუხი, რომელმაც სირიის ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი აიძულა, ანკარაში დამჯდარიყო. აქედან გამომდინარე, საუდის არაბეთში მიმავალ თვითმფრინავებს, რომელთაც ძირითადად მომლოცველები გადაჰყავთ, კურსის შეცვლა მოუწევთ. ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის ბრძანებით, დღეიდან საუდის არაბეთში მიმავალი თვითმფრინავები დანიშნულების ადგილზე იორდანიის საჰაერო სივრცის გავლით მოხვდებიან.

## უკრაინას რუსული გაზის ფასის დაწევის იმედი არ აქვს

უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო ვარაუდობს, რომ 2013 წლის პირველ კვარტალში რუსული გაზის ფასი მიმდინარე წლის ბოლო კვარტლის ფასის დონეზე დარჩება, რაც აჟამად შეადგენს 432 დოლარს 1000 კუბურ მეტრზე. შედარებისთვის, ევროკავშირის ყველაზე სტაბილური ეკონომიკის მქონე გერმანია 450 დოლარს იხდის. კვირის დასაწყისში უკრაინის პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა, რომ რუსეთი მათ ფასის 160 დოლარამდე დაწევას შეჰპირდა, თუ უკრაინა საბაჟო კავშირის წევრი გახდება. მან ისიც დაამატა, რომ უკრაინის საქონელბრუნვის 40 პროცენტი სწორედ საბაჟო კავშირის წევრებზე - რუსეთზე, ბელარუსსა და ყაზახეთზე მოდის.

## კანადელმა ჯაშუშმა რუსეთის სასარგებლოდ მუშაობა აღიარა

Associated Press-ის ცნობით, კანადელმა ოფიცერმა ჯეფრი პოლ დელაილმა გუშინ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა აღიარა. მისი საქმის მოსმენაზე ჯეფრი პოლ დელაილმა თქვა, რომ რუსეთისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებისათვის ის ყოველთვიურად 3000 დოლარს იღებდა. იგი სამხედრო დაზვერვის ყოფილი თანამშრომელია, რომელიც 2012 წელს ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ კანონის დარღვევისათვის დააკავეს. აღნიშნული კანონი 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში მიიღეს. იგი კანადის ისტორიაში პირველი ადამიანი იქნება, რომელიც ამ კანონის თანახმად დააპატიმრეს.

## იემენში ამერიკის საელჩოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მოკლეს

იემენელი მამაკაცი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ სანაში ამერიკის საელჩოში უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობდა, მოკლეს. ქასემ აკლანს მოტოციკლეტით მიმავალმა ადამიანმა მაშინ ესროლა, როდესაც ის სამსახურში მიდიოდა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საელჩოს წარმომადგენლებმა გაავრცელეს. "ბი-ბი-სი"-ს მიხედვით, მოკლული თანამშრომელი მონაწილეობდა გასულ თვეში საელჩოზე მომხდარი თავდასხმის გამოძიებაში.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

## არტისტერიუმი - 2012

**5 ოქტომბრიდან მიმდინარეობს**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
18:00 - "არტისტერიუმი 2012"-ის გახსნა.

**6 ოქტომბრიდან მიმდინარეობს**

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ჭანტურიას 8,
12:00 - "Nine Dragon Heads" (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;
14:00 - გალერეა "Y"-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელორუსია;
16:00 - "ბანერები და დღიურები", პოლონურ-ბელორუსული საგამოფენო პროექტი;
18:00 - ვიტალი კომარის საჯარო ლექცია /"კომარი და მელამიდი"/, აშშ.

**7 ოქტომბრიდან მიმდინარეობს**

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის 6,
14:00 - "ჯვარედინი დამტვერვა", ლორა სენსონი /აშშ/, "ქართული ტექსტილის ჯგუფი", "ლურჯი სახლი" /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;
გალა გალერეა, ათონელის 27,
19:00 - "ცა - 24 საათი", კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.

**8 ოქტომბრიდან მიმდინარეობს**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
13:00 - "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", Ghana ThinkTank-ის ვორკშოფი;
15:00 - იარო სლეპს, ჰიპ ჰოპი - ტექსტი/ტემპი, ვორკშოფი, აშშ;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - კენეტ ჰიუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;
17:00 - "სამყურა", საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი;
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გუდიაშვილის 7,
19:00 - საშა ჭავჭავაძე, "ტანსაცმელი რევოლუციისთვის", ლადო ფოჩხუა, "წიგნი ახალი ქართული არისტოკრატიისთვის", აშშ.

**9 ოქტომბრიდან მიმდინარეობს**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - ჯოანა ფოიტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ; გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის 16,
17:00 - "ზებრა", პოეზიაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი /გერმანია/; რუსთაველის თეატრი, რუსთაველის გამზირი 17;
20:00 - "საწყისში დაბრუნება", მარია საფრონოვა /რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე /საქართველო/.

**10 ოქტომბრიდან,**

ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი,
19:00 - "მსხვერპლშეწირვა - სტატიკური დრამა", გიორგი ჯანიაშვილი, დავით ჯანიაშვილი.

**12 ოქტომბერი, პარასკევი**
"სვლა", სარა პელერენ-ოტ, გიომ შოსონ, საფრანგეთი, პერფორმანსი ტექსტით და მუსიკით, ორგანიზებული ფრანგული ინსტიტუტის მიერ, /ადგილი და ზუსტი დრო გამოცხადდება არტისტერიუმის მსვლელობისას/

**13 ოქტომბერი, შაბათი**

ელიავას ბაზრობის ტერიტორია,
14:00-18:00 - "აღმოაჩინე ელიავა: სტრიტვაიზ - ღია სახლი", ერთდღიანი ფესტივალი, ადგილ-სპეციფიკური
ინსტალაციები, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;
15:00 - Ghana ThinkTank, "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", ინეტრაქტიული სკულპტურა/პერფორმანსი;
17:00 - ჰიპ ჰოპ პერფორმანსი, იარო სლეპს/ირაკლი მაღრაძე.

# ფრანკფურტში მასპინძლობამდე

ბელა ჩეკურიშვილი

10-დან 15 ოქტომბრამდე ევროპელი გამომცემლების, წიგნის აგენტების, ავტორებისა და მათი მკითხველის ყურადღება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისკენაა მიმართული, სადაც წელს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით ახალზელანდიური ლიტერატურაა წარმოდგენილი. ეს ფაქტი, სტატისტიკის ენაზე, 67 ავტორთან შეხვედრას და 90 ახალთარგმნილი წიგნის პრეზენტაციას ნიშნავს, რასაც თან ახლავს სრულიად ახალზელანდიური კულტურის ზეიმი - ხალხური შემოქმედების წარდგენით, გამოფენებით, კულინარიული შოუებით, ანუ ყველაფერ იმის ჩვენებით, რასაც ახალი ზელანდია, როგორც კულტურული ფენომენი, წარმოადგენს.

ამ ამპლუაში საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2015 წელს უნდა წარდგეს, რასაც ლიტერატურის სპეციალისტები ეჭვის ქვეშ აყენებენ, თუმცა კი, ამის შესახებ ოფიციალური და ღია განცხადება ჯერ არ გაკეთებულა. ფაქტი ერთია, დიდ-პატარამ რომ მკლავები დავიკაპიწოთ და წიგნების წერასა და თარგმნას მივყოთ ხელი, ჩვენთვის განკუთვნილ სტელაჟებს მაინც ვერ შევავსებთ, ლიტერატურის ჟანრებსა და ხარისხზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რეალურად, ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნის პირველი ნაბიჯები ახლა იდგმება, ახლა ისინჯება ბაზარი და კეთდება პირველი მცირე ანთოლოგიები და კატალოგები უცხოელი წიგნის აგენტებისა და გამომცემლობების დასაინტერესებლად. ბოლო სამი წელია, ამ პროცესში კულტურის სამინისტრო ჩაერთო, მაგრამ იმისათვის, რომ ქართული ლიტერატურით დასავლური ბაზარი დაინტერესდეს, საქართველოს, როგორც ქვეყნის, ცნობადობა უნდა გაიზარდოს. სამწუხაროდ, ევროპაში ჩვენს შესახებ არაფერი ლაპარაკობს - არც კინემატოგრაფი, რომელიც ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გატანის ყველაზე სწრაფი საშუალებაა, არც თანამედროვე მუსიკა, რაც ასევე სწრაფად ვრცელდება ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით. ოდნავ აამაღლა საქართველოს ცნობადობა დასავლეთში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა, თუმცა კი, არც იმდენად, რომ მისი კულტურით დაინტერესდნენ.

მთარგმნელი და თარგმანთმცოდნე ანი კოპალიანი, სახელმწიფოს როლსა და წვლილზე საუბრისას, სამაგალითოდ იშველიებს ბესიკ ხარანაულის "ხეიბარი თოჯინას" თარგმნის ისტორიას, რომელზეც მან ამერიკელ ლიტერატორთან, ტიმ კერჩერთან ერთად იმუშავა. კერჩერი, რამდენიმე წლის წინ საქართველოში რაღაც პროექტით ჩამოსული ამერიკელი მასწავლებელი და ლიტერატურათმცოდნე, ქართული ლიტერატურის თარგმნით დაინტერესდა და ბწკარედის დახმარებით რამდენიმე ქართველი პოეტი თარგმნა და ამერიკულ პერიოდიკაში დაბეჭდა კიდეც. ანი კოპალიანმა იგი შემთხვევით გაიცნო, "ხეიბარი თოჯინა" მიწერ-მოწერით ჩასწორდა, მისი ფრაგმენტი გამოქვეყნდა კიდეც ამერიკულ ჟურნალში და პროცესი ამით დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი პრესაშიც გახმიანდა, ინგლისური თარგმანის წიგნად გამოცემაზე არც არავის უზრუნია და არც ზრუნავს. მაშინ, როცა არსებობს კნუტ ჰამსუნის კავკასიური ჩანაწერების "განცდილი და ნაფიქრალი კავკასიაში" ქართულ ენაზე თარგმნის პრეცედენტი, მანანა მათიაშვილისეული თარგმანი, რომელიც ნორვეგიის ფონდის დაფინანსებით გამოიცა. "მაშინ, როცა ნორვეგიას არანაირი ინტერესი არ აქვს საქართველოს მიმართ და მიუხედავად ამისა აფინანსებს ქართულ თარგმანს, რადგან ეს მისი კულტურის ნაწილია, რატომ არ უნდა ვუწყობდეთ ჩვენ ხელს მსგავს პროცესებს?" - კითხულობს ანი კოპალიანი და ეს კითხვა, დამეთანხმებით, საკმაოდ ლოგიკურია იმ ფონზე, რასაც ქართული ლიტერატურის უცხოეთში გატანის თუ ვერგატანის პრობლემა ჰქვია.


ანი კოპალიანი

**- რატომ ხდება ისე, რომ კომუნისტების შემდეგ უცხო ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმნის პროცესი აღარ მიმდინარეობს?**

- იმიტომ, რომ არ გვაქვს მთარგმნელობითი სკოლა, რაც რთული და კომპლექსური საკითხია. უპირველეს ყოვლისა, არ გვაქვს უნივერსიტეტებში მთარგმნელთა რელევანტური მომზადების კათედრები, არ გვაქვს სახელმძღვანელოები, რითიც გავზრდით სტუდენტ-მთარგმნელებს. გივი გაჩეჩილაძისა და დალი ფანჯიკიძის მიერ შექმნილმა სახელმძღვანელომ თავი დროზე დიდი როლი შეასრულა, მაგრამ იმისათვის, რომ ფეხი ავუწყოთ თანამედროვე მსოფლიო პროცესებს, ეს საკმარისი აღარ არის. პროფესიონალ მთარგმნელთა არ არსებობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ არ გვაქვს გაცვლითი პროგრამები მთარგმნელებისათვის უცხოეთში. შეუძლებელია, უცხო ენაზე მთარგმნელს არ ჰქონდეს იმ ქვეყანაში ცხოვრების რამდენიმეწლიანი გამოცდილება. შეუძლებელია, ენის გამომსახველობითი შესაძლებლობას იმდენად დაეუფლო, რომ ხარისხიანად თაგმნა შეძლო. მე შემიძლია, ქართულიდან ინგლისურ ენაზე მხოლოდ ბწკარედი გავაკეთო, მეტის საშუალებას ჩემი გამოცდილება არ მაძლევს. შეიძლება, კარგად ვერკვევი პოეზიის კომპონენტებში და შემიძლია, კარგი რჩევა მივცე თანაავტორს, არ მქონია საშუალება, ენა ისე მესწავლა, რომ ქართულიდან ინგლისურად მხატვრული თარგმანი შევძლო. რაც შეეხება უცხოელებს, ცალკეული მოხალისეების გარდა, ქართული ენის შესწავლა არ აინტერესებთ. როცა ქვეყანაში არანაირი სისტემა არ არსებობს და ყველაფერი დამოკიდებულია მოხალისეებზე, იქ მთარგმნელობითი პროცესების განვითარებაზე საუბარი რთულდება. როცა საქმე ეხება ორიგინალურ ლიტერატურას, შეიძლება ვთქვათ: ვისაც რა უნდა, წეროს და ბაზარი თავისით გადაარჩევს. მაგრამ თარგმნა სისტემურ ანალიტიკური პროცესია და ის ინსტიტუციის დონეზე უნდა იდგეს.

**- რა შეთავაზებები აქვთ დღეს მთარგმნელებს?**

- ათეული წლების წინ არსებობდა მთარგმნელობითი კოლეგია და გამოდიოდა ჟურნალი "საუნჯე", საიდანაც ყველა მასალა ჯერ კიდევ არ არის წიგნად გამოსული და არსებობდნენ ადამიანები, ვინც განსაზღვრავდნენ იმას, რა უნდა თარგმნილიყო. იქ წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ლიტერატურა, ესეისტიკა. თუ მაშინ შეიძლებოდა და იყო რესურსები, რატომ არ შეიიძლება დღეს, სურვილის და მენეჯმენტის შემთხვევაში მსგავსი მთარგმნელობითი ორგანო კვლავაც შეიქმნას? ამას კერძო სექტორს ვერ დავავალებთ, სახელმწიფოს ინიციატივა უნდა იყოს, როცა სისტემის შექმნაზე ვლაპარაკობთ, თორემ გამომცემლობები ისედაც უკვეთავენ თარგმანებს და გამოსცემენ. მაღალმხატვრული ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა კომერციულად მომგებიანი ვერ გახდება, მაგრამ მისი არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ კულტურა განვითარდეს. მხატვრული თარგმანი ტექნიკურთან შედარებით სამჯერ იაფი ღირს, არადა, გაცილებით რთულია. საბაზრო ეკონომიკის პრინციპზე დაყრდონით შეუძლებელია მთარგმნელობითი საქმის განვითარება საქართველოში.

**- რამდენად მოახერხებენ ქართველი მთარგმნელები კოორდინაციას, რომ იყოს სახელმწიფოს შემოთავაზება?**

- თუ რომელიმე წრეს ქართულ ლიტერატურაში ერთმანეთთან კოლეგიალური და უანგარო დამოკიდებულება აქვს, ესაა მთარგმნელები. რომ იყოს დაფინანსება და შესაბამისი მენეჯმენტი, შეუძლებელია, მათ კოორდინაცია ვერ მოახერხონ.

**- შენ მონაწილეობა მიიღე ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საზაფხულო მთარგმნელობით სკოლაში. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამგვარი მასტერკლასებიდან?**

- გამოჩნდა ის, რომ აშკარად გვყავს თაობა, რომელსაც აქვს პოტენცია, განათლება და ინტელექტი, ხელი მოჰკიდონ თარგმანს. თუ მოხერხდება, რომ მათ ამ საქმით იშოვონ პურის ფული და არა სხვა საქმით, სისტემასაც ეს შექმნის. მთარგმნელობითი მასტერკლასი 20-მდე მონაწილემ გაიარა და ბევრი მათგანი იმდენად გაიტაცა ამ საქმემ, კვლავაც აგრძელებს ქართული ლიტერატურის ინგლისურად თარგმნის პროცესს. სკოლის მუშაობის ათდღიან პროცესში შევძელით ის, რომ დავუახლოვდით დასავლურ გემოვნებას, გავიგეთ, როგორ თარგმნიან, რას აქცევენ ყურადღებას. მთარგმნელმა საჭიროა სრულყოფილად იცოდეს უცხო ენა, მშობლიური ენა და ჰქონდეს მესამე ნიჭი - თარგმნის. უცხო ენიდან ქართულად თუ შეიძლება მაღალმხატვრულ თარგმანზე საუბარი, ქართულიდან პირიქით, ეს აღარ ხდება. რადგან უცხოელი მთარგმნელები ნაკლებად ინტერესდებიან ქართული ლიტერატურით. რადგან ის, რაც ქართულად ახლა იწერება, დასავლეთში დაახლოებით ორმოცდაათი წლით ადრე შეიქმნა, ანდა ის, რაც ჩვენთან კლასიკად იქცა, მისი თარგმნა იქით უკვე დაგვიანებულია. ათწლეულებით უკანდაბრუნება კი არც მთარგმნელს აინტერესებს, არც მკითხველს. მაგალითად, ტიციან ტაბიძე, რომელმაც ბევრი რამ შემატა ქართულ ლიტერატურას, ვერაფერს შემატებს ფრანგულს, თუ მას დღეს გადავთარგმნით.

მიმაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა უნდა განვითარდეს თავისი გზებით და ლოგიკით და იყოს თავისი დროის გამოძახილი და გამომსახველი. დაინტერესდება თუ არა მისი ევროპელი მკითხველი, ამას შემდეგ ვნახავთ.

**- შენ მთარგმნელის ათწლიანი სტაჟი გაქვს უკვე, რას გიკვეთავენ გამომცემლები, რაზე კეთდება აქცენტი, როცა უცხო ენიდან ქართულად თარგმნის საკითხი დგება?**

- ბოლო დროს გამომცემლობები ითვალისწინებენ ადამიანთა ფსიქოლოგიას, მათ კოლექციონერულ მისწრაფებებს და სხვადასხვა სერიებს სთავაზობენ მკითხველს. ცდილობენ, უფრო ბესტსელერები თარგმნონ და მას გააყოლონ კლასიკა, ასეთნაირად ამოავსონ ის ლაქა თუ ხვრელი, რაც ქართულ ენაზე თარგმნილ ლიტერატურაში არსებობს. ყველას სურს იყოს გემოვნებიანი გამომცემელი, რასაც კომერციასაც უთავსებენ. საერთოდ, ყველაზე ნაკლები პრეტენზია შეიძლება გამომცემლობებს წავუყენოთ, რადგან მართლაც ბევრს აკეთებენ. მე იმის მომხრეც ვარ, მასლიტერატურა ითარგმნოს, რადგან ორიგინალური მასლიტერატურა არ გაგვაჩნია, რათა ადამიანი წიგნის კითხვას მივაჩვიოთ. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ქართველები წიგნის მოყვარული ერია და ეკონომიკური სიდუხჭირე რომ არა, წიგნი მეტად კომერციული პროდუქტი იქნებოდა.

# იოაკიმ შელბომის არმია, სტელან სკარსგაარდი და MOTORHEAD

პირველი გვერდიდან

იოაკიმ შელბომთან გუნდის ბაზაზე ვისაუბრეთ.

მისტერ შელბომი შვედეთის ნაკრებში დგას. მაგრად დგას. ბოლო საკვალიფიკაციოში 8 ტესტში გაიტესტა და საშუალოდ 10.5 ქულას, 6.3 მოხსნას, 1.1 დაფარებას იღებდა. საინტერესო, რესპექტაბელური სტატისტიკა საინტერესო ცენტრისგან. შელბომი ევროპის ჩემპიონატზე, სლოვენიაში გადავა და იქ შვედეთი საინტერესო იქნება. ჰოკეის ტრე კრუნური მათს სუნდინის, ჰენრიკ ზეტერბერგის, ნიკლას ბექსტრიომის ნიკლას ლიდსტრიომის, დანიელ სედინის, ჰენრიკ სედინის ფანტაზია და დათოვლილი მაჩეტეა. ფეხბურთიდან ჰენრიკ ლარსონმა დაგლიჯა და ზლატანი დღეს ფეხბურთის ბობი როდრიგესია. კალათბურთში სხვა ამბებია. აქ იონას ჟერებკო "დეტროიტის" ტიპია და შელბომი გამოცდილებით იგებს. სლოვენიაში შვედეთი არ უნდა გადაიჭრას.

შვედეთის და არაშვედეთის ყველაზე მაგარ დრამერზე, სტელან სკარსგაარდზე, კალათბურთზე, კოტე ტუღუშზე, სხვა ამბებზე. "არმია" მალე ევროჩელენჯზე გადავა და დღეს დუდუ დადიანის მემორიალზე უნდა აკრიფოს. "არმია" კარგი გუნდია და შელბომი ამ გუნდის მაღალი ინტელექტი და ქარიზმა იქნება.

**- ბოლო საკვალიფიკაციოში შვედეთმა რვა ტესტიდან ოთხი მოიგო, გავიდა ევროპის ჩემპიონატზე. ნაკრების და თქვენს სეზონზე ვისაუბროთ.**

- შვედეთი ევროპის ჩემპიონატზე გავიდა და ეს უკვე წარმატებაა. იყო რაღაც შეცდომები, სადღაც ბოლომდე ვერ მივედით და ბოლოს საბოლოო შედეგი რჩება. იმ შედეგით ჩვენ ევრობასკეტზე გავედით. მენისკის ტრავმით ვთამაშობდი და ეს დისკომფორტს მიქმნიდა, მაგრამ მაინც ნორმალურად გავაკეთე ყველაფერი. რჩება შედეგი და არა ტრავმა.

**- აზერბაიჯანი თქვენი ერთ-ერთი კონკურენტი იყო. აზერბაიჯანი - კონკურენტი. მოულოდნელი არ იყო?**

- მოულოდნელი იყო. მანამდე რამდენიმე ტესტში შევხვდით აზერბაიჯანს. მოვუგეთ. საკვალიფიკაციოს პირველი თამაში შვედეთში უპრობლემოდ ავიღეთ (96:79, შელბომმა 11 ქულა და 14 მოხსნა დასვა), მაგრამ სტუმრად პრობლემები შეგვექმნა. აზერბაიჯანმა ორი ამერიკელით ითამაშა. პირველ ტესტში კარგი იყო ჯეისი ქეროლი (27 ქულა) და ის ტესტი ჩვენ ავიღეთ. სტუმრად (ჩარლზ) დევისი გავაჩერეთ (11 ქულა, 9 შეცდომა, ცუდი დაცვა, 5 ფოლი) და ძალიან კარგი იყო ის, ფორვარდი (ორჰან ჰაჩიევა, ავტ.), რომელმაც ბევრი რთული სროლა გამოიყენა, ყურადღებით გააკეთა ყველაფერი. აზერბაიჯანში ვაგებთ (76:82) და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მაინც გავდივართ. შვედეთისთვის ეს წარმატებაა.


ბოლო საკვალიფიკაციოში შელბომი 10.5 ქულას და 6.3 მოხსნას აგროვებდა

**- შვედეთი ევრობასკეტზე სადამდე გაქაჩავს?**

- კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ იქ იქნებიან ფავორიტები და გუნდები, რომლებიც თითქმის ფავორიტები არიან. მერე მოდის შვედეთი. ნორმალური გუნდი გვყავს. იონას ჟერებკო "დეტროიტშია", აქვს სოლიდური დრო, ნორმალური (ორ სეზონში 9.0 ქულა და 5.5 მოხსნა) სტატისტიკა. ჟერებკო გუნდზე თამაშობს, ჭკვიანი, მოქნილია. იონასზე ხშირად ორი დამცველი ადის და ეს მეტ თავისუფალ ადგილს გვიტოვებს. სხვები საქმეს უფრო ადვილად გააკეთებენ. ჟერებკოს გარდა, NBA-ს კიდევ ერთი კაცი გვეყოლება. "შარლოტმა" ამ დრაფტზე აირჩია ფორვარდი ჯეფრი ტეილორი. ძალიან კარგი მოთამაშეა. სხვებიც გააკეთებენ საქმეს და ტურნირზე ნორმალური გუნდით გავალთ. გვახსოვს წინა ევროპაზე ფინეთის თამაში. ფინეთი გავიდა მეორე ეტაპზე, ვიღაცას მოუგო, ბიჭებმა ამ დონეზე თამაშის გამოცდილება მიიღეს. ჩვენი შვედეთი ბევრ რაღაცაში ის ფინეთია. თუ საქმეს მშვიდად, ნაკლები შეცდომით და ყურადღებით აკეთებ, ყველაფერი კარგად იქნება. დისციპლინა ყველასთვის დისციპლინაა.

**- "არმიაში" მეორე სეზონი გაქვთ. როგორ მიდის საქმეები ახალ ძველ გუნდში და კოტე როგორი მწვრთნელია?**

- შარშან სხვა გუნდი იყო. მეტი ჩამოყვანილი მოთამაშე ცოტა სხვა კალათბურთს ვთამაშობდით. წელს მეტი ლოკალური მოთამაშეა, რაღაცები შეიცვალა და არ იცვლება ის, რასაც წარმატება მოაქვს - "არმიაში" პროფესიონალები არიან და ჩემთვის ეს სასიამოვნო, საპატიო პროცესია. კოტე ახალგაზრდა, ძალიან მონდომებული, ჭკვიანი მწვრთნელია. ვიცი, რომ იყო კარგი მოთამაშე და, მერწმუნეთ, ეს ჩანს.

**- მწვრთნელი, რომელიც თქვენზე ორი წლით უმცროსია. იღებს კოტე თქვენგან რჩევას?**

- მწვრთნელი ყველაფერს კარგად აკეთებს. მოთამაშისგან რჩევა? მეგობრულის დონეზე - კი, შეიძლება. ისე კი, რჩევისთვის კოტეს ასისტენტები ჰყავს. "არმიაში" სასიამოვნო სიტუაციაა. მე მომწონს.

**- ის "არმია" უკეთესი იყო?**

- ის "არმია" სხვა იყო. უკეთესი ის გუნდია, რომელიც უკეთ თამაშობს, ნაკლებ შეცდომას უშვებს, მეტს იგებს. სეზონი ჯერ არ დაწყებულა. შევხედოთ, როგორ გავაკეთებთ საქმეს და მერე ვისაუბროთ. რაღაცები შეიცვალა, მაგრამ ის ქართველი მოთამაშეები, რომლებიც "არმიაში" შარშან იყვნენ, წელს უფრო მეტ დროს მიიღებენ და ეტყობათ, რომ უკეთეს ფორმაში არიან. კარგი სეზონი გვექნება. ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით.

**- ვინ არის იოაკიმ შელბომი?**

- ჩვეულებრივი პერსონა, რომელიც კალათბურთს თამაშობს. კალათბურთს დიდი დრო მიაქვს. თითქმის არ მრჩება თავისუფალი დრო. ვარჯიში, დასვენება, ვარჯიში, დასვენება. ბევრი რაღაც მეორდება და ბევრ რაღაცაში მიმართლებს. თბილისში მეგობარ გოგონასთან ერთად ჩამოვედი. ფილმებს ვუყურებ... ფილმები მიყვარს. ბოლო, რაც ძალიან მომეწონა, ახალი "ბეტმენი" იყო.

**- სტელან სკარსგაარდი (The Hunt for Red October, Good Will Hunting, Amistad, Deep Blue Sea, Goya**'s Ghosts, Pirates of the Caribbean: Dead Man's Chest, Pirates of the Caribbean: At World's End, Angels and Demons, Melancholia, The Avengers)?

- შვედეთში ძალიან ცნობილი ადამიანია და სტელანმა ეს დაიმსახურა. ბევრი რამ გააკეთა შვედური კინოსთვის, დღესაც ძალიან პოპულარულია და შვედეთისთვის ბევრს აკეთებს. მისი შვილი, ალექსანდრ სკარსგაარდიც (Battleship, 13, Melancholia) ძალიან პოპულარულია. ხელოვანების ოჯახია. შვედეთში დიდ პატივს სცემენ.

**- ჩემი, და არა მარტო ჩემი, ბევრის ფავორიტი დრამერიც შვედია. იცით მიკი დი ჯგუფიდან Motorhead?**

- Motorhead ვიცი, მაგრამ არ ვიცოდი, დრამერი შვედი თუ იყო. მძიმე მუსიკას არ ვუსმენ, უფრო რეპი, ელქტრონული ამბები. მძიმე ჩემთვის ძალიან მძიმეა.

**- შვედეთი მძიმე მუსიკის სამოთხეა. Soilwork, Arch Enemy, Amon Amarth, Candlemass, Opeth, In Flames, Therion, The Haunted. იცით ეს ჯგუფები?**

- ზოგი ვიცი, ზოგი - არა, მაგრამ შვედეთი მძიმე მუსიკაში წინ მიდის. ეს მუსიკა ჩვენთან პოპულარულია.

**- "არმიას" ბევრი ფანი ჰყავს?**

- ძალიან ბევრი. ევროპაში საუკეთესო ფანები გვყავს. საქართველოში კარგ დროს ვატარებ, მსიამოვნებს აქ ყოფნა. ყველას მადლობას ვუხდი ყურადღებისთვის.

## აზერბაიჯანში ქართველი ფეხბურთელები არ დაუჭრიათ

აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ბაქოს "ინტერის" საფეხბურთო კლუბის ქართველ ლეგიონერებზე თავდასხმა მოხდა. azerisport.com-ის ცნობით, ნარიმანის რაიონის პროკურატურის ინფორმაციით, დანით მიაყენეს ჭრილობები ბაქოს "ინტერის" ქართველ ლეგიონერებს გიორგი ლომაიასა და გიორგი ადამიას. მათი განმარტებით, "ინციდენტი მოხდა ღამის კლუბ Mamounia Lounge-ის სიახლოვეს. ამავე წყაროს ცნობით, რამდენიმე უცხო პირი ფეხბურთელებს თავს დაესხა გაძარცვის მიზნით, მაგრამ ქართველების მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ, მძარცველებმა კი მათ დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. Day.Az-ის ცნობით, მომხადრთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება".

ამასობაში აზერბაიჯანული საფეხბურთო კლუბის, "ინტერის" პრეზიდენტი გეორგი ნიკოლაევი გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

"მსგავსი არაფერი ყოფილა. ლომაია და ადამია ჯანმრთელები და უვნებლები არიან. თუმცა, ცოტა ხნით ადრე ტრავმა მიიღო როგორც ადამიამ, ისე ლომაიამ", - azerisport.com-თან აცხადებს ნიკოლაევი.

თავის მხრივ, ინფორმაციას უარყოფს თავად ადამიაც - არც მე და არც ჩემს თანაკლუბელს თავს არავინ დაგვესხმიაო.

"11 სექტემბერს ტრავმა მივიღე, 18 სექტემბერს კი ბაქოდან გავემგზავრე. თავდაპირველად გერმანიაში წავედი, სადაც ოპერაცია გამიკეთეს. ახლა საქართველოში ვარ და ვმკურნალობ. სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოსთვის გამოვჯანმრთელდები. რაც შეეხება თავდასხმას, მსგავსი არაფერი მსმენია", - azerisport.com-თან ამბობს გიორგი ადამია.

## "მეფე ხანმა" ექვსი მძარცველი მოიგერია

პაკისტანური წარმოშობის ბრიტანელი მოკრივისა და, რაც მთავარია, მსუბუქი წონის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ამირ ხანისთვის (მეტსახელად "მეფე ხანი") რიგითი მოქალაქის ცემა პრობლემა რომ არ არის, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ისეთი პროფესიის კაცია, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სარგებელს ხედავს. თუმცა, ვითარებას გააჩნია. სწორედ ასეთ "საჭირო" ვითარებაში აღმოჩნდა ამირ ხანი - მძარცველები, რომლებიც მისთვის მანქანის მოპარვას ცდილობდნენ, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა გვარიანად მითეთქვა.

ბოლტონის ერთ-ერთი ღამის კლუბიდან გამოსული ამირი ღვიძლ ძმასთან და ასევე პროფესიონალ მოკრივე ხარუნთან ერთად საკუთარ "რეინჯ როვერსში" უნდა ჩამჯდარიყო, რომ უცბად მათ გზა გადაუღობა მანქანამ, რომლიდანაც ექვსი უცნობი გადმოვიდა და ხანებისთვის 100 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ავტომობილის წართმევა სცადა.

ბრიტანული ტაბლოიდური გამოცემის, T-ის ინფორმაციით, ერთ-ერთმა მძარცველმა ამირს (26 მოგება, აქედან 18 ნოკაუტით და 3 წაგება) სახეში გაარტყა, ხურდად კი ნოკაუტი მიიღო. დანარჩენებიც შეეცადნენ ჩხუბში ჩარევას, მაგრამ ამირმა და ხარუნმა ხელი არ გაანძრევინეს - ხუთივე ასფალტზე მიაწვინეს.

თვითმხილველთა თქმით, ძმები ხანები დასაშვები ნორმებით იცავდნენ თავს. მოგვიანებით პოლიციაც გამოჩნდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, საჩივარი არავის დაუწერია.

# ვილაშ-ბოაშის საიდუმლო

ინგლისური პრემიერ ლიგის სასტარტო მატჩში"ტოტენჰემი", რომელიც სეზონის დაწყების წინ პორტუგალიელმა სპეციალისტმა ანდრე ვილაშ-ბოაშმა ჩაიბარა, "ნიუკასლთან" დამარცხდა, შემდეგ კი "დეზებმა" ზედიზედ ექვსი თამაში გამართეს მარცხის გარეშე. რა არის წარმატების საიდუმლო გუნდისა, რომელმაც ზაფხულში ორი ლიდერი - ლუკა მოდრიჩი და რაფაელ ვან დერ ვაარტი დაკარგა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოცემა The Guardian-თან ერთად ვცადოთ.



ვილაშ-ბოაშს ფავორიტები არ ჰყავს და ხმაურიანი სახელები მისთვის არაფერს ნიშნავს. ეს არის პოლიტიკა, რომელიც პორტუგალიელმა "ტოტენჰემში" მისვლის პირველი დღიდან დანერგა და ამას თავისი შედეგები უკვე მოაქვს. ოთხი მოგება ზედიზედ, მათ შორის, "ოლდ ტრაფორდზე" "მანჩესტერ იუნაიტედთან". ამის წყალობით "დეზები" ინგლისის ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფში აღმოჩნდნენ. მომავალ ტურში "ტოტენჰემი" ლონდონურ დერბიში ჩემპიონატის ლიდერ "ჩელსის" დაუპირისპირდება. ვილაშ-ბოაშს მიაჩნია, რომ სწორედ ამ თამაშის საშუალებით შეძლებს "ტოტენჰემი" საჩემპიონო რბოლაში ჩართვას.

"ჩელსისთან" მატჩი პორტუგალიელისთვის, ცხადია, განსაკუთრებული იქნება, თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოექცნენ მას "სტემფორდ ბრიჯზე". რა თქმა უნდა, ვილაშ-ბოაშს რევანში სურს. გასულ სეზონში ვილაშ-ბოაში "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი იყო. პორტუგალიელმა "არისტოკრატიულ" გუნდშიც იგივე პრინციპით დაიწყო მუშაობა, რითაც ახლა "ტოტენჰემში" მუშაობს. ანდრესთვის ავტორიტეტები არ არსებობდა და მან "ჩელსის" გაახალგაზრდავება სცადა, თუმცა, გუნდის ვეტერანების მხრიდან საოცარ წინააღმდეგობას წააწყდა. საბოლოოდ ვილაშ-ბოაშს საბოტაჟი მოუწყვეს და მწვრთნელს კლუბი დაატოვებინეს. ამჟამად ვილაშ-ბოაშის მეთოდები "ტოტენჰემში" ამართლებს. "ჩელსის" ახალმა მწვრთნელმა რობერტო დი მატეომ კი უფრო უმტკივნეულოდ გააკეთა ის, რასაც ვილაშ-ბოაში აპირებდა და საბოლოოდ "ჩელსი" მაინც გაახალგაზრდავდა.

თუმცა, ახლა პორტუგალიელი "ტოტენჰემში" მუშაობს და ჩვენც ამ გუნდზე ვისაუბროთ. სწორედ ვილაშ-ბოაშის დამსახურებაა, რომ, როგორც იქნა, ჩრდილიდან გამოვიდა უგო ლორისი. ფრანგი მეკარე "დეზებმა" 13 მილიონად იყიდეს, თუმცა, ის ამერიკელი ვეტერანის, ბრედ ფრიდელის შემცვლელი გახდა, ვილაშ-ბოაშმა კი ლორისი წინა ტურში ძირითად შემადგენლობაში დააყენა. მართალია, ლორისმა კარი მშრალად შეინახა, მაგრამ ვილაშ-ბოაშმა თამაშის შემდეგ განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, ვის დააყენებს "ჩელსისთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში.

ვილაშ-ბოაშის საკადრო პოლიტიკის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია შეტევის ბოლო ფაზაში ჯერმაინ დეფოს გამოყენება. არადა, "ტოტენჰემში" ირიცხება ემანუელ ადებაიორი, რომელიც გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თუმცა, ვილაშ-ბოაშის მთავარი აღმოჩენა მაინც 20 წლის ცენტრალური მცველი სტივენ კოლკერია. "ტოტენჰემი" ქპრ-სთან საშინაო მატჩს ანგარიშით 0:1 აგებდა. სწორედ ამ მომენტში მისცა ვილაშ-ბოაშმა შანსი კოლკერს. ის დაცვის ცენტრში დააყენა, იან ვენტორგენი კი დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაწია. ამ ცვლილებამ გაამართლა. "დეზებმა" ის თამაში შემოატრიალეს, მერე კი "მანჩესტერი" და "ასტონ ვილა" დაამარცხეს. ორივე მატჩში კოლკერმა 90 წუთს ითამაშა.

# "მილიონარე" - მძარცველი მესის სამსახურში

პირველი გვერდიდან

ორი საათის შემდეგ ბარსელონას ცენტრში, ერთ-ერთი ბანკის წინ, სიგარეტს ეწევა. ამ დროს ბანკის მენეჯერიც მოდის. როხო მის დანახვაზე ნამწვს აგდებს, ქუჩას კვეთს და ელოდება შესაფერის დროს, რომ სისრულეში მოიყვანოს საკუთარი განზრახვა. ბანკის მენეჯერი ჯიბიდიან გასაღებების ასხმას იღებს და ურდულს ატრიალებს. "ეს ძარცვაა, სეიფი მჭირდება". როხოს ხმის გაგონებაზე ბანკირს ცივმა ოფლმა დაასხა.

რვა წუთის შემდეგ როხო მშვიდი გამომეტყველებით და ფულით სავსე ტომრით ბანკს ტოვებს.

პოლციაში განგაშის ხმა ისმის - ბანკი გაუძარცვავთ. გამომძიებელი პირველ ჩვენებებს აგროვებს, მძარცველის სავარაუდო სურათს ხატავს და ბოლოს ნებდება: "ეს მილიონარეა". მილიონარე კი დანი როხოა, რომელიც დაავადებულია შიდსით, ჰეპატიტით და არცთუ დიდი ხნის სიცოცხლე დარჩენია. გამომძიებელი უემოციო გამომეტყველებით ამბობს: ასეთი ადამიანისთვის სიცოცხლის გარისკვა არ ღირს.



*დანიელ როხოს ცხოვრება მწერალს ბესტსელერ დეტექტივს დააწერინებდა*

## ოცდასამი წლის შემდეგ

"მილიონარე" ბარსელონას ჩრდილო-დასავლეთით, კალე სარაგოსას აპარტამენტებში გიმასპინძლებთ. მოკრძალებით შეგიძღვებათ სახლში და ეჭვიც არ შეგეპარებათ მის წარსულზე. ამასთან, ბოდიშს მოგიხდით იმის გამო, რომ არ შეუძლია სასმელი შემოგთავაზოთ - დღეს ის მხოლოდ წყალს სვამს. და, საერთოდ, უარი თქვა ნებისმიერ ალკოჰოლურ სასმელზე, იარაღის ტრიალზე, მძარცველობაზე, ქუდობაზე, წამალზე და სანიმუშო მეოჯახედ იქცა.

არადა, მის ანგარიშზეა დაახლოებით 500 გაძარცული ბანკი, ერთ კვირაში დაყაჩაღებული ხუთი ბანკი, მისი ნამსახურობათა ნუსხა ითვლის დანაშაულებრივ სამყაროსთან 15-წლიან სტაჟს და კიდევ ბევრ ისეთ რამეს, რაც კარგ მწერალს ბესტსელერ დეტექტივს დააწერინებდა, კარგ რეჟისორს კი ამავე ჟანრის შედევრს გადააღებინებდა.

დგება დრო, როდესაც როხო ყველაფერზე უარს ამბობს და 1997 წელს ფეხბურთის სამყაროში შეაბიჯებს. ამბობს: "ბარსელონაში" 2006 წელს მივედი, მაშინ, როდესაც კატალონიურ კლუბს სათავეში ედგა ფრანკ რაიკარდი. საქმე ის არის, რომ კლუბმა დანიელ როხო ფეხბურთელთა დამტარებლად დაიქირავა - იმ ფეხბურთელთა, რომლებიც საკმარისზე მეტს სვამდნენ და ავტომანქანის მართვა დამოუკიდებლად არ შეეძლოთ.

ერთხელ VIP-ში გამიშვეს, სადაც ერთ-ერთ კლიენტს ორ დასთან ერთად ორალური სექსი ჰქონდა. დავალება მქონდა, ვიღაცის მიერ მობილური ტელეფონით გადაღებული ეს სცენები მომეძიებინა, გამენადგურებინა, წამეშალა".

## "მოკრძალებული ტიპი"

ერთ დღესაც დანის ლიონელ მესი ჩააბარეს. "მითხრეს, ვარჯიშზე წავსულიყავი, რასაც ვერ ვიჯერებდი". ბევრად ადვილია ურთიერთობა მოთამაშესთან, რომელიც ბანკებს ძარცვავს. მესი კი სინამდვილეში მეტად მორიდებულია. სადილობისას ყოველთვის ჩემ გვერდით იჯდა, მე კი მას ჩემს განვლილ ცხოვრებაზე ვუყვებოდი. მართალი გითხრათ, ბევრს არაფერს ამბობდა, არ იცოდა, რა ეთქვა და არც ჰქონდა სათქმელი, გარდა ვარჯიშისა და ფეხბურთის თამაშისა. კლუბი უკრძალავდა გოგოებში სიარულს. ჰოდა, მეც გავასინჯე აკრძალული ხილი. და მანაც შეიცნო ნამდვილი ცხოვრების გემო.

## იან დიურის გაკვეთილები

დანიელ როხო სრული ცხოვრებით ცხოვრობს. 1975 წელს ფრანკოს გარდაცვალებით დასრულდა ხანა, მაგრამ დაიწყო რაღაც ახალი, გიჟური - როკ-ენ-როლის, ლიტერატურის, ნარკოტიკების ხანა. თავისუფლებამ იფეთქა. დანი ხარბად ისრუტავდა ამ ყოველივეს. უსმენდა ლუ რიდს, პატი სმიტს, კითხულობდა უილიამ ბეროუზს, ჩარლზ ბუკოვსკის, ეწეოდა ყალიონს, ეძალებოდა ნარკოტიკს და როკს. და ეს ყველაფერი 13 წლის ასაკიდან.

"1979 წელს იან დიურიმ დაწერა სიმღერა Sex & drugs & rock'n'roll. სიმღერა სწორედ ჩემზე იყო".

15 წლის დანი ჰეროინზე "შეჯდა", ფულს კი მამას პარავდა. იცვამდა განგსტერივით და გოგოებს ცხვირსახოცებივით იცვლიდა. ბოლოს სახლიდან გააგდეს. მერე მარცხენა მკლავი მოისვირინგა. სვირინგი მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას ასახავდა: "ცხოვრება თამაშია, რომლის თამაში ყოველთვის მიყვარდა". თამაში კიდევ რბილი ნათქვამია - აფთიაქების, მაღაზიებისა და ბინების ძარცვით გაითქვა სახელი. მათ შორის, ბანკების ძარცვითაც, რაც მის სპეციალობად იქცა. თუმცა, ძალადობას არასდროს მიმართავდა. დღე იწყებოდა ნარკოტიკების დიდი დოზის მიღებით. ასეთმა თავშესაქცევმა შედეგი გამოიღო. 1986 წელს, ციხეში გამომწყვდეულს, ჰეპატიტი და შიდსის ვირუსი დაუდგინეს. ამ მხრივ გამონაკლისი არც სხვა პატიმრები იყვნენ. მაგრამ როხო ავადმყოფობას არ დანებდა და ბრძოლა გააგრძელა. გააგრძელა ძარცვაც, რადგან იცოდა, რომ არაფერი ჰქონდა დასაკარგი. როგორია კვირაში ხუთი ბანკის გატანა?!

"ბანკების ძარცვა ჩემთვის ერთგვარ შემოქმედებად იქცა. ეს ფეხბურთივითაა. ვარჯიშობ და პროფესიონალი ხდები".

მოგვიანებით როხოს ერთგვარი წოდებაც კი მიაკუთვნეს: "მილიონარე".

## როკვარსკვლავი

1997 წელს გონება გაუნათდა. ნარკოტიკებზე უარი თქვა. უარი თქვა კრიმინალურ სამყაროზე.

"შეჩვეული ვიყავი მდიდრულ ცხოვრებას, თერძის მიერ საგანგებოდ შეკერილს ტანისამოსს, მძლავრ მანქანებს. ამის უფლებას მხოლოდ როკვარსკვლავები და ფეხბურთელები თუ აძლევდნენ თავს".

დანიელ როხო ესპანურ ტურნეში თან ახლდა "როლინგ სტოუნზს". "იცით, სტადიონის გავსება, დიდი-დიდი, ორჯერ შეიძლება. ესპანეთში, არგენტინასა და ინგლისში მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია ყოველკვირა სტადიონის გავსება. ამიტომ დანიმ ფეხბურთს მოკიდა ხელი და მესის დარი ფეხბურთელების მცველობა ითავა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ამ საქმიანობას შეეშვა.

"შარშან მეგობართან ერთად ფეხბურთის საყურებლად წავედი სტადიონზე. მატჩის დასრულების შემდეგ მანქანების გაჩერებაზე დიდხანს მომიხდა ლოდინი, რადგან ის ყოველთვის ბოლოს გამოდის. როგორც იქნა, გამოვიდა და სასადილოდ წავედით. მერე ლეომ თავისი მანქანით წამიყვანა სახლში. უკანა სავარძელზე ვიჯექი. ფიქრებში გართული მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იყო, რომ დანიელ როხო თავს კარგად გრძნობდა".

გამომცემლობა არტანუჯი



უცნობი გრიგოლ რობაქიძე

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართულ ენაზე




დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge
www.artanuji.ge